

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



სალომე ზოიძე

შპს „ემ ეს სი ჯორჯია“-სა და შპს „ჯიარ ლოგისტიკა და
ტერმინალები“-ს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის
სრულყოფის საკითხები

სამაგისტრო პროგრამა ბიზნეს ადმინისტრირება

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, აღრიცხვის, ანალიზისა და
აუდიტის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი

ლევან საბაური

თბილისი

2020

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი ეხება ფინანსური ანალიზის აქტუალურ საკითხებს. კერძოდ, განხილულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მნიშვნელოვანი მიმართულებები. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი მიზანია სხვადასხვა მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით საწარმოს მიერ განხორციელებული სამეურნეო საქმიანობის ობიექტური შეფასება.

ნაშრომში წარმოდგენილია, საქართველოში ფუნქციონირებადი ორი საერთაშორისო საექსპედიტორო მომსახურების გამწევი კომპანიის: შპს „ემესი ჯორჯია“-ს და შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“-ს ფინანსური მდგომარეობის შედარებითი ანალიზი. შესწავლილია საანალიზო საწარმოების ფინანსური მდგრადობის, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები. ანალიზის პროცესში შეფასდა საწარმოს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ფინანსური შედეგები და მასზე მოქმედი ფაქტორების ცვლილების გავლენა დინამიკაში. აღნიშნული საკითხების შესწავლის საფუძველზე ხდება კომპანიებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის გზების დასახვა და ფინანსური მდგომარეობის განვითარების სტრატეგიების შემუშავება.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია სასარგებლო და მნიშვნელოვანია კრედიტორების, ინვესტორების, კომპანიის მმართველი ხელმძღვანელობისა და სხვადასხვა ბიზნეს გადაწყვეტილებების მისაღებად.

Annotation

Issues of financial position snalysis on the examples of MSC Georgia LLC and GR Logistics and Terminals LLC.

The following paper deals with topical issues of Financial Analysis. Here is discussed important areas of analysis of the company's financial position. The main purpose of financial position analysis is to objectively evaluate the economic activities carried by the company's management, using different approaches and methods.

The paper presents a comparative analysis of the financial position of two international expeditionary services companies operating in Georgia: MSC Georgia LLC and GR Logistics and Terminals LLC. The indicators of financial sustainability, liquidity and solvency for both companies have been studied. In the process of the analysis, the financial results obtained from the economic activities of the enterprises and the impact of the changes of the factors affecting on the dynamics were evaluated. Based on the study of these issues, the existing problems in the companies were identified, ways to solve them were outlined and strategies for the growth of the financial situation were developed.

The information obtained for the analysis of the financial position is useful and important for creditors, investors, and company's management to male various business decisions.

სარჩევი

შესავალი	5
თავი 1. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის აქტუალური საკითხები	8
1.1 საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის არსი და მიზანი	8
1.2 საანალიზო საწარმოების ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურის ანალიზი	12
თავი 2. საანალიზო საწარმოების ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი.....	20
2.1 საწარმოს ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების შეფასება და ანალიზი	20
2.2 საწარმოს ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება და ანალიზი	27
2.3 საანალიზო საწარმოების საქმიანი აქტივობის ანალიზი.....	40
დასკვნა.....	49
გამოყენებული ლიტერატურა	52
დანართი	54

შესავალი

თემის აქტუალობა - თანამედროვე ეკონომიკა მიმართულია თავისუფალი და კონკურენტული გარემოს შექმნისკენ. მუდმივად იზრდება კომპანიების რიცხვი, რომლებსაც სურთ გასცდნენ ქვეყნის საზღვრებს და თავი დაიმკვიდრონ საერთაშორისო ბაზარზე. დიდია ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური გარემოს გავლენა თითოეულ საწარმოზე, შესაბამისად ისინი დგანან მუდმივი რისკებისა და საფრთხის წინაშე. იმისათვის რომ, კომპანიამ ძლიერ კონკურენტულ გარემოში შეძლოს თავი გადარჩინოს, განვითარდეს, გაზარდოს ბაზარზე გაყიდვების მოცულობა, მიიღოს შემოსავალი და შესაბამისად მოგება, საჭიროა, მოიძიოს ინვესტორები. ფინანსური სტაბილურობა, ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა და ცვალებადი გარემოს გავლენაზე სწრაფი რეაგირების უნარი, ის მაჩვენებლებია, რომელთა შესწავლის შემდგომ ინვესტორი იღებს გადაწყვეტილებას თუ რომელ საწარმოში დააბანდოს თავისი სახსრები. სწორედ, პოტენციური მეწილეების სურვილი იცოდნენ რაც შეიძლება მეტი საწარმოს სტაბილურობის შესახებ, განსაზღვრავს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის აქტუალობას. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზით გამოვლენილი შედეგები მნიშვნელოვანია არა მარტო ინვესტორებისთვის, არამედ კომპანიის ხელმძღვანელობისთვის, ასევე სხვა დარგის სპეციალისტებისა და ზოგადად მომხმარებლებისთვის. აუცილებელია, მმართველ გუნდს ჰქონდეს საჭირო ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რათა თავისდროულად აღმოფხვრას პრობლემები, რომლებიც შესაძლოა საწარმოს გაკოტრების მიზეზად იქცეს. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიზანსაც, სწორედ, საწარმოს ფინანსური სტაბილურობის, მდგომარეობისა და ლიკვიდურობის სიღრმისეული შესწავლა წარმოადგენს. თუ რა საშუალებებითა და მეთოდებით, ამას ნაშრომის ძირითად ნაწილში განვიხილავთ. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ჩატარებისთვის საჭიროა, კომპანიის გარკვეული მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის მოძიება და შემდგომ მათი შეფასება. წარმოდგენილი ნაშრომის შემთხვევაში ინფორმაციულ წყაროდ გამოყენებულია საანალიზო საწარმოების ფინანსური 2017-2018 წლის ანგარიშგებები.

კვლევი მიზანი - მოცემული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს შპს „ემ ეს სი ჯორჯია“-სა და შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“-ს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შესწავლა და მიღებული შედეგების შედარებითი დახასიათება. მიზნის მიღწევისთვის საჭიროა შესრულდეს გარკვეული ამოცანები. კერძოდ: ცალკეული საწარმოს ფინანსური სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა, ლიკვიდურობის კოეფიციენტების გამოთვლა და საქმიანი აქტიურობის შეფასება.

კვლევის საგანი - ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ბალანსის სტრუქტურის, დინამიკის, მდგრადობის, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შესწავლა.

კვლევის ობიექტი - კვლევის ობიექტია ორი საერთაშორისო გადამზიდი კომპანია.

შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“ დაარსდა 2009 წელს. მისი ძირითადი საქმიანობა სარკინიგზო, სახმელეთო და საზღვაო გადაზიდვებია. ასევე სატერმინალო მომსახურება თბილისსა და ფოთში. კომპანიის მისიას წარმოადგენს კონკურენტული დერეფნიდან დიდი მოცულობის საკონტეინერო ტვირთების გადმოზიდვა და ისეთი ძირითადი პრინციპის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს გადაზიდვის დროისა და ხარჯების შემცირებას.

შპს „ემ ეს სი ჯორჯია“ დაფუძნდა 2009 წელს. მისი ფუნქციონირების სფეროს წარმოადგენს საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვები, გადაზიდვები რკინიგზის საშუალებებით, გადაზიდვების ორგანიზება და მასთან დაკავშირებული მომსახურების უზრუნველყოფა. კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების მეშვეობით. საწარმოს 80 %-ს ფლობს შვეიცარული სააქციო საზოგადოება „უნაითედ ეიჯენსის ლიმიტიდ“ (Unitet Agencies Limited SA) („მშობელი კომპანია“), ხოლო 20 %-ს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინვეკო“.

კვლევის მეთოდები - კვლევაში გამოყენებულია ფინანსური მდგომარეობის ანალიზისთვის დამახასიათებელი ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ საყოველთაოდ აღიარებული მეთოდები. ნაშრომის ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენს კომპანიის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებები. კვლევის პროცესში გამოყენებულია ეკონომიკური ლიტერატურები, სალექციო მასალები და სტატისტიკები.

კვლევის შედეგები - როგორც აღვნიშნე, კვლევა ჩატარებულია საქართველოში მოქმედი ორი საერთაშორისო კომპანიის მაგალითზე. გაანალიზებულია მათი ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლები. კვლევამ გამოავლინა ის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც განასხვავებს ამ ორ კომპანიას ერთმანეთისაგან.

თავი 1. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის აქტუალური საკითხები

1.1 საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის არსი და მიზანი

საწარმოს სამეურნეო საქმიანობის განხორციელება და ნორმალურად ფუნქციონირება ფაქტობრივად შეუძლებელია ფინანსური რესურსების გარეშე. საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, სწორედ ფინანსური რესურსების მოცულობით განისაზღვრება, რაც გვიჩვენებს თუ რამდენად შესწევს უნარი კომპანიას დააფინანსოს თავისი საქმიანობა.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბაზარზე კონკურენტული უპირატესობების მოსაპოვებლად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფინანსური რესურსების გონივრული და მინაზნმიმართული გამოყენება. როგორც წესი, ნებისმიერი კომპანია საქმიანობის პროცესში წინასწარ განსაზღვრავს საჭირო აქტივების ოპტიმალურ რაოდენობას, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის ლიკვიდურობასა და ფინანსურ მდგრადობას.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა მის მიერ განხორციელებული საოპერაციო, საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფინანსური შედეგებით განისაზღვრება. ამ მხრივ, საწარმოს ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს მდგრადი, არამდგრადი ან კრიზისული. თუ კომპანიას შეუძლია დროულად გადაიხადოს გადასახადები და დაფაროს თავისი კრედიტორული დავალიანებები, აგრეთვე, მის ხელთ არსებული რესურსები გამოიყენოს რაციონალურად- საქმიანობის გაფართოებისა და განვითარებისთვის, ეს მის მყარ ფინანსურ მდგომარეობაზე მიგვითითებს.

ფინანსური ანალიზის ძირითადი მიზანია კომპანიის ხელმძღვანელობამ ან საფინანსო- ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა პირებმა მიიღონ ოპტიმალური გადაწყვეტილება სად, როდის და როგორ გამოიყენონ ფინანსური რესურსები წარმოების ეფექტიანი განვითარების და მაქსიმალური მოგების მისაღებად.

ფინანსური ანალიზის ძირითადი მიზანს ასევე წარმოადგენს საკუთარი კაპიტალის ზრდისა და ბაზარზე ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნების შესაძლებლობების გამოვლენა. როგორც ვიცით, კაპიტალი შედგება საკუთარი და ნასესხები საშუალებებისაგან, რომლებსაც კომპანია იყენებს სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის ფინანსურ მდგრალობაზე. ამრიგად, საწარმოს ფინანსურმა მენეჯერებმა უნდა განსაზღვრონ თუ როგორი უნდა იყოს კაპიტალის სტრუქტურა შემადგენლობისა და ფორმირების წყაროების მიხედვით, თუ რა ხვედრითი წილი უნდა ეკავოს საკუთარ და ნასესხებ საშუალებებს. აღსანიშნავია, რომ ძირითად შემთხვევებში ბაზარზე მძლავრ პოზიციებს სწორედ ის კომპანიები იკავებენ, რომლებიც საკუთარი ფინანსური რესურსებით ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი მიზანია კომპანიის მიერ განხორციელებული საქმიანობის ობიექტური შეფასება. აღნიშნული შეფასების საფუძველზე ხდება საწარმოს ფინანსური შესაძლებლობების გამოვლენა და შემგომ სხვადასხვა მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით მისი განვითარების სტრატეგიების შემუშავება. ამრიგად, ფინანსური მდგომარეობის ანალიზით შეგვიძლია გამოვავლინოთ ის პრობლემები და ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი საფრთხის ქვეშ დააყენოს კომპანიის სტაბილურობა.

ფინანსური ანალიზის პროცესში აუცილებელია შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტა:

- კომერციული, საწარმოო და ფინანსური საქმიანობის ამსახველ ცალკეულ მაჩვენებლებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესწავლის საფუძველზე, კომპანიაში ფინანსური რესურსების მიღებისა და გამოყენების გეგმების შესრულების შეფასება;
- საწარმოში არსებული საკუთარი და ნასესხები საშუალებების ანალიზის საფუძველზე, ფინანსური შედეგებისა და ეკონომიკური რენტაბელობის პროგნოზირება;

- ფინანსური მდგომარეობის ამსახველი მოდელების შემუშავება საწარმოში არსებული მატერიალური და შრომით რესურსების სხვადასხვაგვარი გამოყენების საფუძველზე;
- კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისათვის.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის პროცესში შეგვიძლია შევაფასოთ საწარმოს სამეურნეო საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებული ფინანსური შედეგები და მასზე მოქმედი ფაქტორების ცვლილების გავლენა დინამიკაში. მიმდინარე წლის მონაცემების წინა წლების იმავე მაჩვენებლებთან შედარების საფუძველზე შეგვიძლია გამოვავლინოთ კომპანიის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოვყოთ ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც დადებით გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე, მის ფინანსურ მდგრადობასა და ლიკვიდურობაზე.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითად წყაროს წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ორი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი: საწარმოს ბუღალტრული ბალანსი და მოგება ზარალის ანგარიშგება. მნიშვნელოვანია აღნიშნული კომპონენტების შემადგენელი ელემენტების დეტალური ანალიზით მიღებული ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნები კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების შესახებ ისეთი ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც გამოადგება მომხმარებელთა ფართო წრეებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. ფინანსური ანგარიშგება ასევე, გვიჩვენებს იმას თუ როგორ და რამდენად ეფექტიანად იყენებს კომპანიის ხელმძღვანელობა მათთვის მინდობილ რესურსებს. მაგალითად, ინვესტირებისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიღება კომპანიის ფინანსური მდგრადობის შესახებ, რათა მიიღონ სწორი და მომგებიანი გადაწყვეტილება ინვესტიციების დაბანდებასთან დაკავშირებით. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მონაცემთა წყაროები შეიძლება დავყოთ: გეგმურ, სააღრიცხვო და არასააღრიცხვო მონაცემებად.

გეგმური მონაცემთა წყაროებია: საწარმოში არსებული მიმდინარე, ოპერაციული და პერსპექტიული გეგმები, ხარჯთა აღრიცხვის დოკუმენტები, სხვადასხვა საპროექტო დავალებები და სხვა.

სააღრიცხვო მონაცემთა წყაროებს მიეკუთვნება: ბუღალტრული, სტატისტიკური, საგადასახადო და ოპერატიული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემები.

არასააღრიცხვო წყაროებს მიეკუთვნება ოფიციალური დოკუმენტები, როგორებიცაა: კანონები, ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებები, მთავრობის დადგენილებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, სამართლებრივი ხელშეკრულებები და სხვა. არასააღრიცხვო წყაროები ასევე შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის საინფორმაციო საშუალება-ინტერნეტი, მედია ან ტელევიზია და ზეპირი ინფორმაცია, რომლებსაც ვიღებთ საწარმოს თანამშრომლებთან, ხელმძღვანელებთან ან სხვა პირებთან შეხვედრების დროს. საწარმოს ეკონომიკური ანალიზის პროცესში ჩამოთვლილი მონაცემთა წყაროების კომპლექსური გამოყენება კომპანიის საქმიანობის ყოველმხრივი შესწავლისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეზერვების სრულად გამოვლენის საშუალებას იძლევა.

ფინანსური ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვანია როგორც კრედიტორებისა და ინვესტორებისთვის, აგრეთვე კომპანიის შიგნით მმართველობითი საქმიანობის განხორციელების პროცესში სხვადასხვა ბიზნეს გადაწყვეტილებების მისაღებად.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ჩატარების არსი და თანმიმდევრულობა დამოკიდებულია ანალიზის მიზნებსა და ინფორმაციულ ბაზაზე. ანალიტიკოსი საწყის ეტაპზე განსაზღვრავს კვლევის მიმართულებას, შემდგომ კი არსებული ინფორმაციის გამოყენებით სხვადასხვა მოქმედებების საფუძველზე შეისწავლის კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას. საბოლოოდ, ანალიზის შედეგები ფორმდება დასკვნის სახით, რომელშიც გამოიყოფა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გზები და რეკომენდაციები.

1.2 საანალიზო საწარმოების ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურის ანალიზი

ფინანსური მდგომარეობის ანალიზი იწყება საწარმოს ბუღალტრული ბალანსის განხილვით, რაც ზოგად წარმოდგენას გვიქმნის კომპანიის ფინანსურ შესაძლებლობებზე. ანალიზის შემდგომ ეტაპზე, ბალანსის ცალკეული მუხლის-აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის დეტალური შესწავლის საფუძველზე ვიღებთ სიღრმისეულ ინფორმაციას საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ბუღალტრულ ბალანსში ასახული ინფორმაცია მოიცავს საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსთვის არსებულ მონაცემებს, რომელთა საფუძველზეც ხდება საწარმოს ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება.

ბალანსი შედგება ორი ნაწილისაგან, ესენია: საწარმოს ეკონომიკური რესურსები და მათი ფორმირების წყაროები. ეკონომიკური რესურსები არის ის აქტივები, რომლებსაც ფლობს საწარმო და იყენებს სამეურნეო საქმიანობის განხორციელების პროცესში. საწარმოში მათი ფორმირება ხდება როგორც საკუთარი სახსრების, ასევე მოზიდული ფინანსური რესურსების საშუალებით.

ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის თანახმად, ბალანსში ელემენტები ორმხრივობის პრინციპის საფუძველზე აისახება და იგი აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საბალანსო ტოლობას:

$$\text{აქტივები} = \text{ვალდებულებებს} + \text{საკუთარი კაპიტალი}$$

ბალანსში კომპანიის აქტივები წარმოდგენილია მათი მოკლევადიანი და გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივები მოკლევადიანად კლასიფიცირდება, თუ მათი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა და თავიდანვე გასაყიდად არის გამიზნული, ან მოსალოდნელია მათი რეალიზაცია ან მოხმარება სამეურნეო საქმიანობის პროცესში მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში. ამდენად, მიმდინარე აქტივებს მიეკუთვნება: ფულადი საშუალებები, სწრაფად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები და მარაგები, რომლებიც

შეიძლება წარმოდგენილი იყოს ნედლეულის, ნახევარ-ფაბრიკატის ან მზა პროდუქციის სახით.

ვალდებულება მოკლევადიანია თუ ის დასაფარია ან მოსალოდნელია მისი დაფარვა საოპერაციო თარიღიდან თორმეტი თვის განმავლობაში და მისი წარმოქმნის ძირითადი მიზანი არის ვაჭრობა. მიმდინარე ვალდებულებებს მიეკუთვნება: საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები, ბანკის მოკლევადიანი კრედიტი, მოკლევადიანი სესხები, საწარმოს პერსონალის წინაშე არსებული ვალდებულებები, დარიცხული საგადასახადო დავალიანებები და სხვა.

ყველა დანარჩენი აქტივი ან ვალდებულება, რომელიც არ აკმაყოფილებს მიმდინარე აქტივის ან ვალდებულების კრიტერიუმებს საწარმო გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

რაც შეეხება საკუთარ კაპიტალს, იგი შედგება საწესდებო და საემისიო კაპიტალის, ასევე გაუნაწილებელი მოგებისა და რეზერვებისაგან.

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის შესაფასებლად გამოიყენება ბუღალტრული ბალანსის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზის მეთოდი. ვერტიკალური ფორმის ბალანსში აქტივები, საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები ერთ მხარეს არის განლაგებული, ხოლო ჰორიზონტალური ფორმის ბალანსში კი ერთ მხარეს აქტივებია მოცემული, ხოლო მეორე მხარეს კაპიტალი და ვალდებულებები. ჩემ მიერ განსახილველი საწარმოების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებები შედგენილია ვერტიკალური ფორმატით. ბალანსში ცალკეული მუხლების განლაგების თანმიმდევრულობა ემყარება ლიკვიდურობის პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკაში დასაშვებია საწარმოს საშუალებების ასახვა ლიკვიდურობის ზრდადობის ან კლებადობის მიხედვით. ლიკვიდურობა გულისხმობს ფულად გადაქცევის სისწრაფეს. აქტივი, რომელიც სხვებთან შედარებით ადვილად რეალიზდება და სწრაფად გადაიქცევა ფულად საშუალებად უფრო ლიკვიდურია.

იმისათვის რომ კომპანის ბუღალტრული ბალანსი იყოს ინვესტორებისთვის მიმზიდველი, უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ პირობებს: შესამჩნევი უნდა იყოს აქტივების მოცულობის ზრდა წლის განმავლობაში, მაგრამ მისი შემოსავლების ზრდის

ტემპი უნდა აღემატებოდეს აქტივების ზრდის ტემპს; მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი ნალკები უნდა იყოს დაფინანსების გრძელვადიან წყაროებზე და მეტი მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდის ტემპზე; უმჯობესია საკუთარი კაპიტალის მოცულობა შეადგენდეს აქტივების ნახევარზე მეტს, ამასთან დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ზრდის ტემპები იცვლებოდეს თანაბარი სიდიდით.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი რთული პროცესია, რომელიც რამდენიმე ეტაპს მოიცავს. თავდაპირველად უნდა შევისწავლოთ ბალანსის დინამიკა და სტრუქტურა, გამოვთვალოთ ძირითადი მუხლების ზრდის ტემპები, რომლებსაც შევუდარებთ შემოსავლების ზრდის ტემპს.

ჩავატაროთ საანალიზო საწარმოების ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურული ანალიზი და შევაფასოთ მიღებული შედეგები.

შპს „ემესი ჯორჯია“-ს ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურის ანალიზი 2016-2018 წლებში

ცხრილი: 1.2.1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31 დეკემბრის მდგომარეობით	2016 წ (ათ ლარი)	ხვ.წ %	2017 წ (ათ ლარი)	ხვ.წ %	ხვ.წ-ის გადახრა 2016 წელთან	2018 წ (ათ ლარი)	ხვ.წ %	ხვ.წ-ის გადახრა 2017 წელთან
აქტივები								
გრძელვადიანი აქტივები								
ძირითადი საშუალებები	394	6.2	351	3.0	-3.2	497	4.4	1.4
არამატერიალური აქტივები	425	6.7	350	3.0	-3.7	297	2.6	-0.4
სულ გრძელვადიანი აქტივები	819	12.9	701	6.0	-6.9	794	7.0	1.0
მოკლევადიანი აქტივები								
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	228	3.6	251	2.1	-1.5	144	1.3	-0.9
სახელშეკრულებო აქტივები	85	1.3	46	0.4	-0.9	129	1.1	0.8
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1093	17.3	2400	20.6	3.3	3335	29.6	9.0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4104	64.8	8280	70.9	6.1	6872	61.0	-9.9
სულ მიმდინარე აქტივები	5510	87.1	10977	94.0	6.9	10480	93.0	-1.0

სულ აქტივები	6329	100	11678	100	0	11274	100	0
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები								
საკუთარი კაპიტალი								
საწესდებო კაპიტალი	50	4.4	50	2.2	-2.2	50	2.1	-0.1
გაუნაწილებელი მოგება	1077	95.6	2223	97.8	2.2	2311	97.9	0.1
სულ საკუთარი კაპიტალი	1127	100	2273	100	0	2361	100	0
მოკლევადიანი ვალდებულებები								
მოგების გადასახადის დავალიანება			341	3.6	3.6	104	1.2	-2.5
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა	22	0.4	453	4.8	4.4	515	5.8	1.0
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	5180	99.6	8432	89.7	-9.9	7790	87.4	-2.3
სახელშეკრულებო ვალდებულებები		0.0	179	1.9	1.9	504	5.7	3.8
სულ მიმდინარე ვალდებულებები	5202	100.0	9405	100.0	0.0	8913	100.0	0.0
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6329		11678			11274		

ცხრილი 1.2.1-ის მიხედვით 2018 წელს შპს „ემესსი ჯორჯია“-ს მიმდინარე აქტივები მთლიანი აქტივების 93 %-ს შეადგენს, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 1 %-ით ნაკლებია. მიმდინარე აქტივების მაღალი ხვედრითი წილი განპირობებულია ფულადი საშუალებებისა და დებიტორული დავალიანებების მაჩვენებლებით. 2018 წელს ფულადმა სახსრებმა მთლიანი აქტივების 61 % შეადგინა, ხოლო სავაჭრო დებიტორულმა დავალიანებებმა 29.6 %. 2017 წელთან შედარებით გაიზარდა დებიტორული დავალიანებები, ხოლო ფულადი საშუალებები შემცირდა. აღნიშნული ცვლილებების მიზეზები გამოვლინდება შემდგომი ანალიზის საფუძველზე. საწარმოში დებიტორული დავალიანებების ზრდის ტენდენცია, შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული დებიტორული დავალიანების ამოღების სუსტი პოლიტიკით. 2018 წელს მიმდინარე აქტივები 10480 ათასი ლარს შეადგენს, ხოლო მიმდინარე ვალდებულებები კი 8913 ათასი ლარს, ვინაიდან საწარმოს არ გააჩნია გრძელვადიანი

ვალდებულებები და მიმდინარე აქტივების მოცულობა აღემატება მოკლევადიან ვალდებულებებს, შესაბამისად მიმდინარე აქტივების ნაწილი დაფინანსებულია კომპანიის საკუთარი საშუალებებით და სწორედ, ეს აქტივები წარმოადგენს საკუთარ საბრუნავ საშუალებებს. საკუთარი სახსრებით დაფინანსებული მიმდინარე აქტივების მოცულობის იდენტიფიცირება მხოლოდ ბალანსის მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლებელია, ვინაიდან თანამედროვე კომპანიები მოკლევადიან ვალდებულებებს იყენებენ როგორც მიმდინარე, ისე გრძელვადიანი აქტივების დასაფინანსებლად.

2018 წელს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები შეადგენს 8913 ათას ლარს, რომლის 87,4%-ს შეადგენს სავაჭრო კრედიტორული დავალიანება. საწარმოში სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების ხვედრითი წილი მცირდება ბოლო სამი წლის განმავლობაში, აღნიშნული დადებით მოვლენას წარმოადგენს კომპანიისთვის. უფრო კონკრეტულად კრედიტორულ დავალიანებებზე ნაშრომის შემდეგ ქვეთავებში.

რაც შეეხება საკუთარ კაპიტალს, იგი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან. საწესდებო კაპიტალის მოცულობა 2016-2018 წლებში არ შეცვლილა და შეადგენს 50000 ლარს, რომელიც მთლიანი კაპიტალის 2,1 %-ია. დანარჩენი 97,9 პროცენტი არის გაუნაწილებელი მოგება, რომელიც უმნიშვნელოდ იცვლება ბოლო სამი წლის განმავლობაში. აღნიშნული ფაქტი გამოწვეული იმით, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში კომპანიის მიერ მიღებული მოგება თითქმის სრულად გაიცა დივიდენდების სახით.

შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“-ს ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურის ანალიზი 2016-2018 წლებში

ცხრილი: 1.2.2

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31 დეკემბრის მდგომარეობით	2016 წ (ათ ლარი)	ხვ.წ %	2017 წ (ათ ლარი)	ხვ.წ %	ხვ.წ-ის გადახრა 2016 წელთან	2018 წ (ათ ლარი)	ხვ.წ %	ხვ.წ-ის გადახრა 2017 წელთან
აქტივები								
ძირითადი საშუალებები	13 270	61.1	12 737	59.3	-1.8	59 475	80.3	21.0

საინვესტიციო ქონება	4 798	22.1	4 771	22.2	0.1	4 738	6.4	-15.8
გრძელვადიანი აქტივები	18 068	83.1	17 508	81.5	-1.6	64 213	86.7	5.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 597	7.3	1 876	8.7	1.4	6 274	8.5	-0.3
სხვა აქტივები	465	2.1	337	1.6	-0.6	325	0.4	-1.1
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1 604	7.4	1 759	8.2	0.8	3 288	4.4	-3.8
მიმდინარე აქტივები	3 666	16.9	3 972	18.5	1.6	9 887	13.3	-5.1
სულ აქტივები	21 734	100.0	21 480	100.0	0.0	74 100	100.0	0.0
კაპიტალი								
საწესდებო კაპიტალი	27 164	133.6	27 164	136.9	3.4	83 224	119.1	-17.8
მესაკუთრის არაფულადი შენატანის რეზერვი		0.0		0.0	0.0	-7 067	-10.1	-10.1
დაგროვილი ზარალი	-6 826	-33.6	-7 324	-36.9	-3.4	-6 267	-9.0	27.9
სულ კაპიტალი	20 338	100.0	19 840	100.0	0.0	69 890	100.0	0.0
ვალდებულებები								
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	866	62.0	805	49.1	-12.9	1 005	23.9	36.8
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	530	38.0	835	50.9	12.9	3 205	76.1	63.2
მიმდინარე ვალდებულებები	1 396	100.0	1 640	100.0	0.0	4 210	100.0	100.0
სულ ვალდებულებები	1 396	100.0	1 640	100.0	0.0	4 210	100.0	0.0
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	21 734		21 480			74 100		

ცხრილი 1.2.2-ის მიხედვით 2018 წელს შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“-ს მთლიანი აქტივები 2016 წელთან შედარებით 3 ჯერ გაიზარდა და შეადგენს 74 100 ათას ლარს. მიმდინარე აქტივებში 86,7 % უკავია გრძელვადიან აქტივებს, ხოლო 13,3 % მიმდინარე აქტივებს. გრძელვადიანი აქტივების ხვედრითი წილი საგრძნობლად არის გაზრდილი 2017 წელთან შედარებით და შეადგენს მთლიანი აქტივების 80 %-ს. შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“ არის საერთაშორისო გადამზიდი კომპანია, რომელსაც თავისი საქმიანობის განსახორციელებლად სჭირდება ავტო სატრანსპორტო საშუალებები. კომპანიმ საქმიანობის გაფართოებისა და მოგების გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა ძირითად საშუალებებში. კერძოდ, საანგარგებო პერიოდის განმავლობაში შეძენილია 40000 ათასი ლარის სატრანსპორტო საშუალებები. მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი წინა წელთან შედარებით 5.1 %-ით შემცირდა, რაც გამოიწვია ფულადი სახსრების შემცირებამ. ფული და მისი

ექვივალენტები საწარმოს ლიკვიდურობის განსაზღვრის ინდიკატორია. ფულადი საშუალებების ხვედრითი წილის შემცირებამ მთლიან აქტივებში შესაძლოა გამოიწვია ლიკვიდურობის დონის შემცირება. კომპანიის ლიკვიდურობასა და გადახდისუნარიანობას გავანალიზებთ მოგვიანებით. მეორე საანალიზო საწარმოს შემთხვევაშიც, მიმდინარე აქტივების მოცულობა აღებატება მიმდინარე ვალდებულებებს, კომპანიას არ გააჩნია გრძელვადიანი ვალდებულებები ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპანიის მიმდინარე აქტივები დაფინანსებულია საკუთარი სახსრებით, შესაბამისად მას გააჩნია საკუთარი საბრუნავი საშუალებები.

როგორც აღვნიშნეთ, 2016 წელთან შედარებით კომპანიის აქტივები საგრძნობლად გაიზარდა, შესაბამისად გაიზარდა მისი დაფინანსების წყაროებიც. საწარმოს გააჩნია მხოლოდ მოკლევადიანი ვალდებულებები, რომლის დიდი ნაწილს შეადგენს სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები. აღსანიშნავია, რომ კრედიტორული დავალიანებების ხვედრითი წილი მთლიან ვალდებულებებში ხასიათდება მზარდი დინამიკით. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების ხვედრითი წილი წინა წელთან შედარებით 63,2 %-ით გაიზარდა, ასევე 36 %-ით გაიზარდა კლიენტებისგან მიღებული ავანსები. მოკლევადიანი ვალდებულებების ასეთი რადიკალური ზრდა გარკვეულ რისკებს შეიცავს, რადგან კომპანია შესაძლოა მნიშვნელოვნად გახდეს კრედიტორებზე დამოკიდებული.

ვალდებულებებთან ერთად საჭიროა განვიხილოთ საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა. 2018 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 56 მილიონით. როგორც ვიცით, ამავე წელს კომპანიის გრძელვადიანი აქტივებიც მნიშვნელოვნად გაიზარდა, რომელიც თანხობრივად შეადგენს 64 213 ათას ლარს. ვინაიდან, კომპანიის მთლიანი ვალდებულებები 4 210 ლარი ნაკლებია გრძელვადიან აქტივებზე, ეს იმას ნიშნავს, რომ აქტივების გარკვეული ნაწილი დაფინანსებულია საწარმოს საკუთარი საშუალებებით.

მას შემდეგ, რაც შევისწავლეთ თითოეული საწარმოს სტრუქტურა და დინამიკა, საინტერესო იქნება მათი შედარებითი ანალიზის შედეგების შეფასება. შპს „ემესსი ჯორჯია“ და შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“ საერთაშორისო გადამზიდი კომპანიები არიან. ვინაიდან, ორივე მათგანი ერთსა და იმავე დარგში მოღვაწეობს ეს

გვაძლევს შესაძლებლობას ერთმანეთს შევადაროთ ბალანსის ცალკეული მუხლები და გამოვავლინოთ სტრუქტურული განსხვავებები.

საანალიზო საწარმოების ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურის შედარებითი ანალიზი
ცხრილი 1.2.3

	2016 ხვ.წ %		2017 ხვ.წ %		2018 ხვ.წ %		ხვ.წ გადახრა 2016 წელთან შედარებით		ხვ.წ გადახრა 2017 წელთან შედარებით	
მაჩვენებლები	ემესი ჯორჯია	ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები	ემესი ჯორჯია	ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები	ემესი ჯორჯია	ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები	ემესი ჯორჯია	ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები	ემესი ჯორჯია	ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები
გრძელვადიანი აქტივები										
ძირითადი საშუალებები	6.2	61.1	3.0	59.3	4.4	80.3	-3.2	-1.8	1.4	21.0
სულ გრძელვადიანი აქტივები	12.9	83.1	6.0	81.5	7.0	86.7	-6.9	-1.6	1.0	5.1
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	3.6	2.1	2.1	1.6	1.3	0.4	-1.5	-0.6	-0.9	-1.1
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	17.3	7.3	20.6	8.7	29.6	8.5	3.3	1.4	9.0	-0.3
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	64.8	7.4	70.9	8.2	61.0	4.4	6.1	0.8	-9.9	-3.8
სულ მიმდინარე აქტივები	87.1	16.9	94.0	18.5	93.0	13.3	6.9	1.6	-1.0	-5.1
საკუთარი კაპიტალი										
საწესდებო კაპიტალი	4.4	133.6	2.2	136.9	2.1	119.1	-2.2	3.4	-0.1	-17.8
მოკლევადიანი ვალდებულებები										
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	99.6	38.0	89.7	50.9	87.4	76.1	-9.9	12.9	-2.3	25.2

საანალიზო საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლების სტრუქტურის ანალიზმა გამოავლინა კომპანიების მიერ აქტივების დაფინანსების და სახსრების მოზიდვის სხვადასხვა მიდგომა. 2018 წელს შპს „ჯიარ ლოგისტიკა და

ტერმინალები”-ს გრძელვადიანი აქტივები მთლიანი აქტივების 87 %-ს შეადგენს, მაშინ როდესაც მეორე საწარმოს აქტივების მთლიან მოცულობაში გრძელვადიანი აქტივების წილი მხოლოდ 7 %-ია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგიკურია მიმდინარე აქტივების სტრუქტურის სხვაობაც. შპს „ემესსი ჯორჯია“-ს მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი 93 %-ია, ხოლო ჯიარ ლოჯისტიკის 13 %. ასეთი სხვაობა გამოწვეულია ფულადი სახსრების მოცულობის გამო. შპს „ემესსი ჯორჯია“-ს აქტივების ნახევარზე მეტს ფული და მისი ექვივალენტები შეადგენს, ხოლო შპს „ჯიარ ლოჯისტიკა და ტერმინალები“-ს აქტივებში ფულად საშუალებებს მხოლოდ 4 % უკავია. სავარაუდოდ განსხვავებული იქნება საწარმოების ლიკვიდურობის მაჩვენებლებიც. ამასთანავე, 2018 წლის მონაცემების მიხედვით, ემესსი ჯორჯიას დებიტორული დავალიანებების ხვედრითი წილის მაჩვენებელი 20 %-ით, ხოლო კრედიტორული დავალიანებების ხვედრითი წილი 10 %-ით აღემატება მეორე საანალიზო საწარმოს მსგავს მაჩვენებლებს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შპს „ემესსი ჯორჯია“ დებიტორული დავალიანებების ამოღების უფრო მკაცრს პოლიტიკას ატარებს, თუმცა თავად უფრო მეტადაა დამოკიდებული კრედიტორებზე, ვიდრე შპს „ჯიარ ლოჯისტიკა და ტერმინალები“. ამრიგად, შპს „ემ ეს სი ჯორჯია“ -ს ფინანსურმა მენეჯერმა უფრო ეფექტიანად უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული რესურსები და გაზარდოს კომპანიის მოგების მაჩვენებლები, რათა შეამციროს კრედიტორებზე დამოკიდებულების დონე.

თავი 2. საანალიზო საწარმოების ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი

2.1 საწარმოს ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების შეფასება და ანალიზი

იმისათვის, რომ საწარმომ ბაზარზე შეძლოს ღირსეული კონკურენციის შენარჩუნება, მოიზიდოს ინვესტორები და გაზარდოს თავისი საქმიანობის მასშტაბი საჭიროა შეინარჩუნოს ფინანსური მდგრადობა. ფინანსური მდგრადობა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მახასიათებელია, რომელიც გვიჩვენებს მისი დამოუკიდებლობის დონეს. ფინანსურად მდგრადი საწარმო ყოველთვის მზადაა

გადალახოს მოულოდნელი საფრთხეები და კრიზისი, რაც ამცირებს მისი გაკოტრების ალბათობას. თუ საწარმოს ახასიათებს ფინანსური სტაბილურობა, ესეიგი ის ეფექტიანად იყენებს და ანაწილებს ფინანსურ რესურსებს, უზრუნველყოფს საწარმოს აქტივების, მოგებისა და კაპიტალის ზრდას, ინარჩუნებს ლიკვიდურობას, გადახდისუნარიანობას, დამოუკიდებლობას და კრედიტუნარიანობას.

საწარმოს მდგრადობაზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს, რომლებიც შეგვიძლია დავაჯგუფოთ: შიგა და გარე ფაქტორებად.

შიგა ფაქტორებია: აქტივების ბრუნვადობა, მმართველი გუნდის პროფესიონალიზმი, რესურსების შემადგენლობა.

გარე ფაქტორებია: მსოფლიოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, ვალუტის კურსის ცვალებადობა, ეროვნული და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების დონე, სახელმწიფო, საგადასახადო, საკრედიტო და საკანონმდებლო პოლიტიკა.

ფინანსური სტაბილურობის დახასიათებისას იყენებენ აბსოლუტურ და ფარდობით მაჩვენებლებს. აბსოლუტურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: მარაგების, საკუთარი და ნასესხები კაპიტალის მოცულობა. მათზე დაყრდნობით განასხვავებენ ფინანსური სტაბილურობის ოთხ ტიპს. ესენია:

- აბსოლუტურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა;
- ნორმალურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა;
- არასტაბილური ფინანსური მდგომარეობა;
- კრიზისული ანუ კრიტიკული ფინანსური მდგომარეობა.

განვიხილოთ თითოეული მაჩვენებელი საანალიზო საწარმოების მჩვენებლებზე და გავარკვიოთ ფინანსური მდგრადობის რომელ ტიპს მიეკუთვნება თითოეული მათგანი.

აბსოლუტურად მდგრადად ითვლება საწარმო თუ მარაგები მთლიანად საკუთარი საბრუნავი საშუალებებით არის უზრუნველყოფილი. მდგრადობის ასეთი ტიპისთვის დამახასიათებელია შემდეგი უტობის სისწორე.

მატერიალური მარაგები < საკუთარ საბრუნავ სახსრებზე

აბსოლუტური მდგრადობა იშვიათად ახასიათებს საწარმოებს და არც თუ ისე პრიორიტეტულ მდგომარეობად ითვლება. თუ საწარმოს ახასიათებს აბსოლუტური მდგრადობა ნიშნავს რომ აქტივები ძირითადად დაფინანსებულია საკუთარი საშუალებებით მაშინ, როდესაც კომპანიას შეუძლია მათი მოზიდვა გარე წყაროებიდანაც სამეურნეო საქმიანობის გაფართოებისა და განვითარებისთვის.

ნორმალურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა- მარაგები დაფინანსებულია როგორც ნასესხები საშუალებით, ასევე საკუთარი საბრუნავი სახსრებით. საწარმოში ამ მაჩვენებლებს შორის თანაფარდობა გამოისახება შემდეგნაირად:

საკუთარი საბრუნავი სახსრები < მატერიალური მარაგები < მარაგების დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები.

მარაგების დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები შედგება საკუთარი საბრუნავი საშუალებების, მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების, მოკლევადიანი სესხებისა და მიღებული მოკლევადიანი ავანსების ერთობლიობისაგან.

არამდგრადი ფინანსური მდგომარეობა გულისხმობს, რომ საწარმოში არსებულ მარაგებზე გაწეული დანახარჯები ძირითადად უზრუნველყოფილია გრძელვადიანი ნასესხები საშუალებებით. მარაგებისა და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფარვისთვის ასევე, გამოიყენება მარაგების ფორმირების ნორმალური წყაროები, რაც აისახება შემდეგი დამოკიდებულებით:

მატერიალური მარაგები > მარაგების ფორმირების „ნორმალური“ წყაროები.

კომპანიები, რომელთა ფინანსური მდგომარეობა ხასიათდება არამდგრადობით, იძულებულნი არიან მიმართონ ყველა ხერხს რათა საწყის ეტაპზე შეინარჩუნონ ბაზარზე არსებული პოზიციები. მათ უწევთ როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი სესხების აღება, იმისათვის, რომ კვლავ განახორციელონ ეკონომიკური საქმიანობა შემდგომი განვითარების მიზნით.

კრიზისული ფინანსური მდგომარეობა- ამ დროს საწარმოში მარაგების დაფინანსება არ ხდება საკუთარი საბრუნავი სახსრების, მოკლევადიანი სესხებისა და მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების საშუალებით. ამასთანავე, კომპანიაში არსებობს ვადაგადაცილებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საწარმოს არ შესწევს უნარი დროულად დაფაროს მომწოდებლების

მიმართ არსებული დავალიანებები და დროულად ამოიღოს ფულადი სახსრები დებიტორებისაგან. კრიზისულ სიტუაციაში კომპანიის გაკოტრების რისკები არის მაღიან მაღალი, ვინაიდან იგი თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული კრედიტორებზე.

თუ საწარმოს გააჩნია არამდგრადი ან კრიზისული ფინანსური მდგომარეობა, საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილებები, რაც გააუმჯობესებს საწარმოს ფინანსურ მდგრადობას. ფინანსური სტაბილურობა მიიღწევა საკუთარი საბრუნავი სახსრების სხვადასხვა წყაროებით გაზრდის და ბრუნვადობის დაჩქარებით, ასევე მარაგების და სხვა დანახარჯების ოპტიმალური დონის შენარჩუნებით.

განსახილველ საანალიზო საწარმოებს არ გააჩნიათ მატერიალური მარაგები, შესაბამისად მათი ფინანსური მდგრადობის აღნიშნული მეთოდით დახასიათება შეუძლებელია. თუმცა, ეკონომიკურ ლიტერატურაში ვხვდებით მრავალ აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებელს, რომელთა საფუძველზეც შეგვიძლია ჩავატაროთ საწარმოს მდგრადობის ანალიზი.

განვიხილოთ თითოეული საანალიზო საწარმოს ფინანსური მდგრადობის ფარდობითი მაჩვენებლები:

1. საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული საკუთარი კაპიტალით. ამ კოეფიციენტის მისაღები ნორმა 0,5-ს უნდა აღემატებოდეს. რაც მეტია საწარმოს საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი, მით უფრო მეტია მისი მდგრადობა. იგი ასევე გვიჩვენებს რამდენად დამოუკიდებელია საწარმო.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი = საკუთარი კაპიტალი / მთლიანი აქტივები

2. ფინანსური დამოკიდებულობის ანუ ნასესხები კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი წარმოადგენს საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის შებრუნებულ მაჩვენებელს და გვიჩვენებს რამდენად დამოკიდებულია საწარმო კრედიტორებზე. მისი მნიშვნელობა არ უნდა აღემატებოდეს 0,5-ს.

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი = ვალდებულებები / მთლიანი აქტივები

3. საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი გამოითვლება ვალდებულებების საკუთარ კაპიტალთან შეფარდებით. მისი ოპტიმალური მნიშვნელობაა 1, რაც იმას გულისხმობს რომ საწარმოში არსებული ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის მოცულობა დაახლოებით უნდა იყოს თანაბარი რაოდენობით.

**მოზიდული და საკუთარი სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი =
ვალდებულებები / საკუთარი კაპიტალი**

4. კაპიტალის შენარჩუნების კოეფიციენტის გამოსათვლელად სააგნარიშო პერიოდის ბოლოს არსებული საკუთარი კაპიტალის მოცულობა უნდა შევადაროთ ამავე პერიოდის დასაწყისში არსებულ იგივე მაჩვენებელთან. აღნიშნული კოეფიციენტი სასურველია იყოს 1-ზე მეტი.

**კაპიტალის უსაფრთხოების (შენარჩუნების) კოეფიციენტი = საკუთარი
კაპიტალი საანგარიშო წლის ბოლოს / საკუთარი კაპიტალი საანგარიშო
წლის დასაწყისში.**

5. საკუთარი კაპიტალის მანევრირების (მობილობის) კოეფიციენტი გვიჩვენებს საკუთარი კაპიტალის რა ნაწილია დაბანდებული საბრუნავ სახსრებში. ამ კოეფიციენტის სასურველი მნიშვნელობა არის 0,3-ზე მეტი.

**კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი = საკუთარი საბრუნავი სახსრები /
საკუთარი კაპიტალი**

6. საკუთარი საშუალებების მიმდინარე აქტივებთან ფარდობა გვიჩვენებს მიმდინარე აქტივების იმ ნაწილს, რომელიც საკუთარი კაპიტალით არის დაფინანსებული. ეს მაჩვენებელი 0.4-დან 0.5-მდე უნდა იცვლებოდეს.

**საკუთარი საშუალებების ფარდობა მიმდინარე აქტივებთან = საკუთარი
საბრუნავი სახსრები/მიმდინარე აქტივები**

განვიხილოთ, საანალიზო საწარმოების ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები დინამიკაში.

ცხრილი: 2.1.1

ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტები	შპს „ემესი ჯორჯია“			შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“			ნორმა
	2017 წ	2018 წ	გადახრა	2017 წ	2018 წ	გადახრა	
საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი	0.19	0.21	0.01	0.92	0.94	0.02	> 0.5
ფინანსური დამოკიდებულობის კოეფიციენტი	0.81	0.79	-0.01	0.08	0.06	-0.02	< 0.5
საკუთარი და მოზ. სახსრების თანაფარდობის კოეფ.	4.14	3.78	-0.36	0.08	0.06	-0.02	1.00
კაპიტალის უსაფრთხოების (შენარჩუნების) კოეფიციენტი	2.02	1.04	-0.98	0.98	3.52	2.55	> 1
საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი	0.69	0.66	-0.03	0.12	0.08	-0.04	> 0.3
საკუთარი საშ.-ის ფარდობა მიმდინარე აქტივებთან	0.14	0.15	0.01	0.59	0.57	-0.01	0.4 < X < 0.5

ცხრილში ასახული მონაცემების მიხედვით, ჩანს რომ შპს „ემესი ჯორჯია“-ს საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი უმნიშვნელოდ იზრდება. 2018 წელს წინა წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი გაიზარდა 1 %-ით, რაც იმას ნიშნავს რომ საწარმოში საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წილი ფაქტობრივად არ გაზრდილა. 2018 წელს საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი 0,2-ია, რაც დადგენილ ნორმებს არ აკმაყოფილებს, ვინაიდან 0,5-ზე ნაკლებია, აქედან გამომდინარე ბუნებრივია რომ კომპანიის ფინანსური დამოკიდებულობის კოეფიციენტიც ვერ აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს. ნასესხები კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი 2017 წელს 0,81-ს ხოლო 2018 წელს კი 0,79-ს შეადგენს. ორივე წელს ეს მაჩვენებლები აღემატება დადგენ ზღვარს, 0,5-ს, სწორედ ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საწარმო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კრედიტორებზე. წინა ორი კოეფიციენტის ანალიზიდან გამომდინარე ცხადია, რომ საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი მეტია 1-ზე. 2017 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 4,14-ი, ხოლო 2018 წელს 3,78-ია. რაც შეეხება, კაპიტალის უსაფრთხოების კოეფიციენტს მისი ხვედრითი წილი 2018 წელს წინა წელთან შედარებით უმნიშვნელოდ შემცირდა, მიუხედავად იმისა რომ საანგარიშო პერიოდის ბოლოს საკუთარი კაპიტალის მოცულობა უმნიშვნელოდ შეცვლილა ამავე პერიოდი დასაწყისთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ვალდებულებები, რამაც

გამოიწვია საკუთარი და ნასესხები საშუალებები არასასურველი თანაფარდობის არსებობა. საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს საკუთარი საბრუნავი სახსრების თანაფარდობას საწარმოს საკუთარ კაპიტალთან 2017 წელს 0,69, ხოლო 2018 წელს 0,66-ია. აღნიშნული მაჩვენებლები ორივე წელს აღემატება დადგენილ ზღვარს 0,3-ს, რაც იმას ნიშნავს რომ მიმდინარე აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი დაფინანსებულია საკუთარი კაპიტალით.

აღნიშნული მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე, უმჯობესია კომპანიის ხელმძღვანელობამ გაზარდოს საკუთარი კაპიტალის მოცულობა, რაც უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსურ სტაბილურობასა და მდგრადობას.

შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“-ს ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი აკმაყოფილებს ეკონომიკის სპეციალისტების მიერ მიღებულ ოპტიმალურ მაჩვენებელს და 2018 წელს 0,94-ს შეადგენს. ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი 2017 წელს 0,08, ხოლო 2018 წელს 0,06-ია, რაც ნიშნავს რომ აღნიშნულ კოეფიციენტს ახასიათებს კლებადი დინამიკა. ეს დადებით მოვლენად ითვლება, ვინაიდან მცირდება საწარმოს კრედიტორებზე დამოკიდებულების დონე. კაპიტალის შენარჩუნებისა და მოზიდული და საკუთარი სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტებიც მერყეობს მიღებული ნორმების ფარგლებში. გაზრდილია საკუთარი კაპიტალის მოცულობა საანგარიშო პერიოდის დასაწყისთან შედარებით, ამასთანავე შენარჩუნებულია სასურველი თანაფარდობა ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის მუხლებს შორის. საერთო ჯამში, საწარმოს ფინანსური მდგრადობის ყველა მაჩვენებლის მნიშვნელობა დამაკმაყოფილებელია.

ამრიგად, საანალიზო საწარმოების ფინანსური მდგრადობის შედარებით ანალიზი გვიჩვენებს, რომ შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“ ფინანსურად უფრო მეტად სტაბილურია, ვიდრე შპს „ემესი ჯორჯია“. აქედან გამომდინარე, უმჯობესია შპს „ემესი ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობამ იზრუნოს საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წილის გასაზრდელად, რათა შეინარჩუნოს და გაზარდოს ბაზარზე ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის დონე.

2.2 საწარმოს ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება და ანალიზი

ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებისათვის საწარმოს ხელმძღვანელობა მუდმივად უნდა დაინტერესდეს კომპანიის ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის ანალიზით. სიტყვა „ლიკვიდურობა“ ლათინური წარმომავლობისაა და „თხევადს,, ნიშნავს. ეკონომიკური გაგებით ლიკვიდურობაში იგულისხმება საწარმოს შესაძლებლობა დაფაროს ვალდებულებები იმ აქტივებით, რომელთა ფულად ფორმაში გადასვლა, ემთხვევა ვალდებულების დაფარვის ვადას. კომპანიის ლიკვიდურობა ნიშნავს, რომ მას არ გააჩნია გადახდისუნარიანობის პრობლემა და ფლობს აქტივებისა და ვალდებულებების ოპტიმალურ მოცულობას. საწარმო ლიკვიდურად ითვლება თუ მისი მიმდინარე აქტივები აღემატება ვალდებულებებს. ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა , ორივე საწარმოს ვალდებულებების დაფარვის უნარზე მიგვითითებს, შინაარსობრივად აღნიშნული ტერმინები უკავშირდებიან ერთმანეთს, თუმცა არსებობს განსხვავება. ლიკვიდურობაში მოიაზრება საწარმოს ვალდებულებების დაფარვისათვის რესურსების არსებობა, ხოლო გადახდისუნარიანობაში ამ რესურსების ფულად საშუალებებად გადაქცევის დროული შესაძლებლობა.

ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის დონეების შეფასება ხორციელდება შეფარდებითი მაჩვენებლების საფუძველზე. ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ ლიკვიდურობის შემდეგ მაჩვენებლებს: აბსოლუტური, სწრაფი და საერთო ლიკვიდურობა.

ლიკვიდურობის ანალიზისას ლიკვიდურობის კლების მიხედვით დალაგებული აქტივების თანაფარდობა უნდა გამოითვალოს, ვალდებულებების მიმართ, რომლებიც დალაგებულია დაფარვის ვადის მიხედვით.

ანალიზი უნდა დავიწყოთ გადახდისუნარიანობის ბალანსის შედგენით, რომელიც ბუღალტრულ ბალანსში მიმდინარე აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურას გვიჩვენებს. მის საფუძველზე ვადგენთ შეუძლია თუ არა მიმდინარე აქტივებს დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. კაპიტალის დეფიციტი წარმოიქმნება, მაშინ როცა კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები აღემატება მიმდინარე აქტივებს. განვიხილოთ

რა მდგომარეობა აქვთ აღნიშნული კუთხით საანალიზო საწარმოებს. შევადგინოთ კომპანიების გადახდისუნარიანობის ბალანსები ბოლო სამი წლის მდგომარეობით.

შპს „ემ ეს სი ჯორჯია“-ს გადახდისუნარიანობის ბალანსი.

ცხრილი 2.2.1

შპს „ემ ეს სი ჯორჯია“	2016 წ (ათ ლარი)	2017 წ (ათ ლარი)	2018 წ (ათ ლარი)
სულ მიმდინარე აქტივები	5510	10977	10480
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	228	251	144
სახელშეკრულებო აქტივები	85	46	129
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1093	2400	3335
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4104	8280	6872
სულ მიმდინარე ვალდებულებები	5202	9405	8913
მოგების გადასახადის დავალიანება		341	104
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა	22	453	515
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	5180	8432	7790
სახელშეკრულებო ვალდებულებები		179	504
სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებს შორის	308	1572	1567

გადახდისუნარიანობის წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით, კომპანიის მიმდინარე აქტივები სამივე წელს აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს, 2017-2018 წლებში სხვაობა თითქმის თანაბარია.

შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“-ს გადახდისუნარიანობის ბალანსი.

ცხრილი 2.2.2

ჯიარ-ლოგისტიკა	2016 წ (ათ ლარი)	2017 წ (ათ ლარი)	2018 წ (ათ ლარი)
მიმდინარე აქტივები	3,666	3,972	9,887
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,597	1,876	6,274
სხვა აქტივები	465	337	325
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,604	1,759	3,288
მიმდინარე ვალდებულებები	1,396	1,640	4,210
ვალდებულებები			
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	866	805	1,005
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	530	835	3,205

სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებს შორის	2270	2332	5677
----------------------------------------------------	------	------	------

ჯიარ ლოგისტიკის შემთხვევაშიც არც ერთ წელს არ აღინიშნება მიმდინარე ვალდებულებების სიჭარბე აქტივებთან მიმართებაში. არცერთი მოცემული კომპანია არ განიცდის აქტივების დეფიციტს.

ანალიზის ჩატარების სიმარტივისა და შედეგების უფრო ნათელი თვალსაჩინოებისათვის აქტივების დაჯგუფება ხორციელდება ფულად გადაქცევის, ხოლო ვალდებულებებს დაფარვის სისწრაფის შესაბამისად. აქტივების დაჯგუფებისას გამოიყოფა 4 ჯგუფი: A1; A2; A3; A4

A1- აბსოლუტურად ლიკვიდური აქტივები

მოიცავს ფულადი სახსრებს და მათ ექვივალენტებს, ასევე სწრაფადლიკვიდურ ფასიანი ქაღალდებს

A2- მალე რეალიზებადი აქტივები

დებიტორული აქტივები და დებიტორული დავალიანებები, რომლებიც იფარება საანგარიშგებო წელში.

A3- ნელა რეალიზებადი აქტივები

მარაგები, შემცირებული წინასწარი ხარჯებით; გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები

A4- ძნელად რეალიზებადი აქტივები

მოიცავს, ძირითად საშუალებების შემადგენელ ყველა მუხლს. სამეურნეო საქმიანობაში მოცემული აქტივები ყველაზე ხანგრძლივი პერიოდით გამოიყენება.

ვალდებულებებიც, აქტივების მსგავსად დაყოფილია 4 ჯგუფად: P1; P2; P3; P4

P1- ჯგუფში გაერთიანებულია ვალდებულებები, რომელთა დაფარვა ყველაზე საჩქაროა. ესენია: სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები, სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

P2- მოიცავს მოკლევადიან კრედიტებს და სესხებს

P3- გრძელვადიანი ვალდებულებების ჯგუფს მიეკუთვნება- გრძელვადიანი კრედიტები და სესხები, რომელთა დაფარვა გათვალისწინებულია 12 თვეზე მეტი პერიოდით

P4 - არის მყარი პასივები, რომელიც საკუთარი კაპიტალის მუხლებით არის შედგენილი

ბალანსი ჩაითვლება ლიკვიდურად თუ შესრულდება მოცემული უტოლობები:

$$A1 \geq P1; A2 \geq P2; A3 \geq P3; A4 \geq P4$$

შევისწავლოთ სრულდება თუ არა მოცემული პირობები საანალიზო საწარმოების შემთხვევაში და განვსაზღვროთ მათი ბალანსის სტრუქტურის ლიკვიდურობის დონეები წლების მიხედვით.

ცხრილი: 2.2.3

	შპს „ემესი ჯორჯია“				შპს „ჯორჯიან ლოგისტიკა და ტერმინალები“		
მაჩვენებლები	2016 წ (ათ ლარი)	2017 წ (ათ ლარი)	2018 წ (ათ ლარი)		2016 წ (ათ ლარი)	2017 წ (ათ ლარი)	2018 წ (ათ ლარი)
A1	⁶ 872	8 280	4 104		3 288	1 759	1 604
P1	⁸ 409	9 226	5 202		3 205	835	530
A1-P1	- 1 537	- 946	- 1 098		83	924	1 074
	არ სრულდება				სრულდება		
A2	³ 608	2 697	1 406		6 599	2 213	2 062
P2	504	179	-		1 005	805	866
A2-P2	3 104	2 518	1 406		5 594	1 408	1 196
	სრულდება				სრულდება		
A3	-	-	-		-	-	-
P3	-	-	-		-	-	-
A3-P3	-	-	-		-	-	-
A4	794	701	819		64 213	17 508	18 068
P4	² 361	2 273	1 127		69 890	19 840	20 338
A4-P4	- 1 567	- 1 572	- 308		- 5 677	- 2 332	- 2 270
	არ სრულდება				არ სრულდება		

გამოთვლებმა გვიჩვენა, რომ ორივე კომპანიაში ტოლობა დარღვეულია. მსგავსმა სიტუაციამ შესაძლოა საწარმოებს შეუქმნას სტაბილურობის პრობლემა. შპს „ემესი ჯორჯია“-ს სწრაფად დასაფარი ვალდებულება აღემატება აბსოლუტურად ლიკვიდური აქტივების მოცულობას, შესაბამისად საწარმოს გადახდისუნარიანობა არც თუ ისე მიმზიდველია. შედარებით უკეთესი სიტუაცია აქვს შპს ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალებს, თუმცა არც ამ შემთხვევაში არის დაკმაყოფილებული ოთხივე უტოლობა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტენდენცია ახასიათებთ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

კომპანიის ხემძღვანელობამ სასურველია შეცვალოს სტრატეგიები და აღმოფხვრას ლიკვიდურობასთან დაკავშირებული ხარვეზები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლიკვიდურობის დონის განსაზღვრა ხდება სხვადასხვა მაჩვენებლების საფუძველზე. გამოვთვალოთ ზოგიერთი მაჩვენებელი შერჩეული საწარმოების მაგალითებზე და შევადაროთ დინამიკაში.

1. აბსოლუტური ლიკვიდურობა - აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს მიმდინარე ვალდებულებების იმ მოცულობას, რომლის დაფარვაც ფულადი საშუალებებით არის შესაძლებელი. მისი მნიშვნელობა სასურველია 0.2-ს აღემატებოდეს.

$$\text{აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი თანხები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

ცხრილი:2.2.4

ნორმა	X > 0.2				
აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფ.	2016	2017	გადახრა	2018	გადახრა
შპს „ემ ეს სი ჯორჯია“	0.77	0.88	0.11	0.79	-0.09
შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“	0.78	1.07	0.29	1.15	0.08

ორივე საწარმო აბსოლუტური ლიკვიდურობის მიღებულ ნორმას აკმაყოფილებს.

2. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი - გვიჩვენებს მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილის დაფარვაა შესაძლებელი ფულადი საშუალებებითა და მოკლევადიანი დებიტორული მოთხოვნებით ერთობლივად. მისი მნიშვნელობა უმჯობესია 1 დან 2 მდე იცვლებოდეს.

$$\text{სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი თანხები} + \text{მოკლევადიანი მოთხოვნები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

ცხრილი:2.2.5

ნორმა	1 < x < 2				
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	2016	2017	გადახრა	2018	გადახრა
შპს „ემ ეს სი ჯორჯია“	1.15	1.14	-0.01	1	-0.14
შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“	2.27	2.22	-0.05	2.29	0.08

შპს „ემესსი ჯორჯია“-ს სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი იდეალურ მაჩვენებელს უახლოვდება, ვინაიდან 2016-2018 წლებში ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი მოთხოვნების მიმდინარე ვალდებულებებთან თანაფარდობა 1-2 მდე მერყეობს. შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“-ს სწრაფი ლიკვიდურობის მაჩვენებელი ოდნავ აღემატება მიღებულ ზღვარს.

3. საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი- გვიჩვენებს ზოგადად მიმდინარე აქტივებით მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილის დაფარვაა შესაძლებელი. ეს კოეფიციენტი უკეთესია 2- დან 3 მდე მერყეობდეს. ანუ კომპანიის მიმდინარე აქტივები ორჯერ ან სამჯერ აღემატებოდეს მიმდინარე ვალდებულებების მოცულობას.

$$\text{საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$


ცხრილი: 2.2.6

ნორმა	2 < x < 3				
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	2016	2017	გადახრა	2018	გადახრა
შპს „ემ ეს სი ჯორჯია“	1.18	1.17	-0.01	1.06	-0.11
შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“	2.35	2.42	0.07	2.63	0.2

შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“-ს საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი სამივე წლის განმავლობაში 2 დან 3 მაჩვენებელამდე მერყეობს, რაც იმას ნიშნავს რომ მას გააჩნია ვალდებულებების დაფარვისათვის საჭირო რესურსები, რაც მის გადახდისუნარიანობაზე მიგვითითებს. იგივეს ვერ ვიტყვით, მეორე საანალიზო საწარმოზე, ვინაიდან შპს „ემესსი ჯორჯია“-ს საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1დან 2 მდე იცვლება, რაც არ აკმაყოფილებს საერთო ლიკვიდურობის ზოგადად მიღებულ ნორმებს.


შედეგების უფრო მარტივი თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ საანალიზო საწარმოების ლიკვიდურობის კოეფიციენტებს დიაგრამების სახით:

დიაგრამა N1



ლიკვიდურობის სამივე მაჩვენებლის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საწარმოს აქვს საერთო ლიკვიდურობასთან დაკავშირებული გარკვეული სიძნელეები. საერთო ლიკვიდურობის მნიშვნელობა ნაკლებია მიღებულ ნორმასთან. მართალია, დინამიკაში კომპანიისთვის დამახასიათებელია გადახდისუნარიანობის მცირედი ზრდა, თუმცა ეს არ არის საკმარისი. იმისთვის რომ საწარმომ კონკურენტულ გარემოში შეძლოს ბაზრის მნიშვნელოვანი წილის მოპოვება, საჭიროა ინვესტიციები. ინვესტორები კი სახსრების დაბანდებისას დიდ ყურადღებას აქცევენ პოტენციური საინვესტიციო საწარმოს გადახდისუნარიანობის დონეს.

დიაგრამა N2



შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალებს“- ახასიათებს ლიკვიდურობის მისაღები დონე. ლიკვიდურობის სამივე მაჩვენებლის მიხედვით საწარმოს გააჩნია ლიკვიდური აქტივები მიმდინარე ვალდებულებების დასაფინანსებლად.

ამრიგად, ლიკვიდურობის მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შპს „ემ ეს სი ჯორჯია“-ს აქვს საერთო ლიკვიდურობასთან დაკავშირებით გარკვეული სიმნელები, ვინაიდან აღნიშნული მაჩვენებლები არ აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს. აქედან გამომდინარე, კომპანიამ უნდა შეძლოს საჭირო ოდენობით ლიკვიდური აქტივების უზრუნველყოფა მიმდინარე ვალდებულებების დასაფარავად, რათა გაუძლოს ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემო პირობებს. ამ მხრივ, შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალებს“ გააჩნია ლიკვიდური აქტივები, რაც მის გადახდისუნარიანობაზე მიგვითითებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, კომპანიის ხელმძღვანელობამ მაინც უნდა შეიმუშავოს გარკვეული სტრატეგიები, რათა შეინარჩუნოს ლიკვიდურობის ოპტიმალური დონე და გადახდისუნარიანობა.

ლიკვიდურობის შეფასება ფაქტორული მოდელის გამოყენებით

საწარმოში არსებობს შემთხვევები, როდესაც ლიკვიდურობის დონე წლების განმავლობაში უცვლელია, თუმცა შეიძლება იცვლებოდეს მოგება და რენტაბელობა. მსგავს სიტუაციაში, ზემოთ განხილული მაჩვენებლები ხშირად ვერ ასახავენ საწარმოს სტაბილურობის რეალურ სურათს ამიტომ, კომპანიის ლიკვიდურობა უნდა შევაფასოთ შემდეგი ფაქტორული მოდელის დახმარებით:

$$K = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მოგება}} * \frac{\text{მოგება}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

მიმდინარე აქტივების მოგებასთან თანაფარდობა გვიჩვენებს მიმდინარე აქტივების ხვედრით წილს მთლიან მოგებაში, ასევე იმას თუ რა რაოდენობის აქტივი მოდის ერთი ლარის მოგებაზე. მოგების მიმდინარე ვალდებულებებთან თანაფარდობა გვიჩვენებს რამდენად შეუძლია საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებული ფინანსური შედეგებით დაფაროს თავისი კრედიტორული დავალიანებები. რაც უფრო მაღალია მოგების მიმდინარე ვალდებულებებთან თანაფარდობის მაჩვენებელი, მით უფრო კარგი ფინანსური მდგომარეობით ხასიათდება საწარმო.

ცხრილი N 2.2.7-ში წარმოგიდგენთ საანალიზო საწარმოების: შპს „ემ ეს სი ჯორჯია“-სა და შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“-ს ლიკვიდურობის შეფასებას აღნიშნული ფაქტორული მოდელის გამოყენებით:

ცხრილი: 2.2.7

მაჩვენებელი	შპს „ემ ეს სი ჯორჯია“			შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“		
	2017	2018	გადახრა	2017	2018	გადახრა
საერთო ლიკვიდურობა	1.17	1.19	0.02	-46.12	-0.12	45.99
მიმდინარე აქტივი/მოგება	0.66	0.51	-0.15	-7.98	-0.30	7.67
მოგება/მიმდინარე ვალდებულება	1.78	2.33	0.55	5.78	0.41	-5.38

შევაფასოთ შპს „ემ ეს სი ჯორჯია“-ს საერთო ლიკვიდურობა ფაქტორული მოდელის დახმარებით:

პირველი ფაქტორის გავლენა $=(-0,15) * 1.78 = (-0,27)$

ამრიგად, აქტივების ღირებულების შემცირებამ 1 ლარის მოგებაზე , გამოიწვია საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტის 0,27-ით შემცირება.

მეორე ფაქტორის გავლენა $=(0.55) * 0.51=0.28$

საწარმოს მიერ მიღებული მოგებიდან მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა გაიზარდა, რამაც გამოიწვია საერთო ლიკვიდურობის გაზრდა 0.28-ით.

ორივე ფაქტორის ცვლილების შედეგად საწარმოს ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაიზარდა 0,02-ით. $(-0,27+0,28=0,02)$ აღნიშნული მაჩვენებელი ცხადყოფს კომპანიის საქმიანობის გაუმჯობესებას, თუმცა ეს ცვლილება უმნიშვნელოა, სწორედ ამიტომ, კომპანიის ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშავოს ისეთი მენეჯმენტი, რომლის საშუალებითაც შეძლებს მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილის გაზრდას მიმდინარე ვალდებულებებთან მიმართებაში. ამისთვის აუცილებელია საწარმო იყოს უზრუნველყოფილი ლიკვიდური აქტივებით: ფულადი საშუალებებითა და სწრაფადრეალიზებადი აქტივებით, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს მის გადახდისუნარიანობას.

ორივე ფაქტორული მოდელის საშუალებით შევაფასოთ შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“-ს საერთო ლიკვიდურობაზე მოქმედი ფაქტორების ცვლილების გავლენა:

$$\text{პირველი ფაქტორის გავლენა: } = (-7.67) * 5.78 = -44,36$$

პირველი ფაქტორის ცვლილების გავლენა გვიჩვენებს, რომ 1 ლარის მოგებაზე აქტივების ღირებულება შემცირდა 44,36-ით. აღნიშნული ფაქტი, გამოწვეულია იმით რომ კომპანიამ 2017 წელს განიცადა ფინანსური ზარალი.

$$\text{მეორე ფაქტორის ცვლილების გავლენა } = (-5.38) * (-0.30) = 1.63$$

საწარმოს მიერ მიღებული მოგებიდან მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა გაიზარდა, რამაც გამოიწვია საერთო ლიკვიდურობის გაზრდა 1,63.

ორივე ფაქტორის ცვლილების შედეგად საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაიზარდა 45,99-ით. $(-44,36 + 1,63 = 45,99)$.

ამრიგად, ფაქტორული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპანიის საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტის ზრდა გამოწვეულია 2018 წელს მოგების მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდით, რადგან მიუხედავად წინა წელს მიღებული ზარალისა კომპანიამ შეძლო საქმიანობის გაუმჯობესება, ლიკვიდური აქტივების-ფულადი საშუალებების უზრუნველყოფა და აღნიშნული ზარალის კომპენსირება.

საანალიზო საწარმოების ფაქტორული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ორივე კომპანიაში მოგებისა და რენტაბელობის ცვლილებით იზრდება საერთო ლიკვიდურობის მაჩვენებელი. შპს „ემ ეს სი ჯორჯია“-ს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი უმნიშვნელოა შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალებთან“ შედარებით, რაც იმას ნიშნავს რომ კომპანიის ფინანსურმა მენეჯერებმა უნდა შეძლონ ისეთი ფინანსური პოლიტიკის შემუშავება, რომელის საშუალებითაც შემცირდება საწარმოში არსებული მიმდინარე ვალდებულებები, გაიზრდება ლიკვიდური აქტივების მოცულობა და შესაბამისად მოგება. ყოველივე ეს კი განსაზღვრავს კომპანიის გადახდისუნარიანობას და ეფექტიან ფუნქციონირებას.

ფულადი სახსრების მოძრაობის შეფასება და ანალიზი

საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა ფულადი საშუალებების არსებობა. აქტივების დასაფინანსებლად და ვალდებულებების დასაფარად ნებისმიერ საწარმოს ესაჭიროება ფულადი რესურსები. საწარმოში არსებული ფულადი სახსრები და სამეურნეო საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებული მოგება ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან კომპანიას საანგარიშო პერიოდის ბოლოს შესაძლოა ჰქონდეს მოგება, მაგრამ განიცდიდეს ფულადი საშუალებების დეფიციტს. აღნიშნული ფაქტს განაპირობებს, თანამედროვე ბუღალტრულ აღრიცვაში შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვისთვის დარიცხვის მეთოდის გამოყენება. ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოში ხდება შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება უშუალოდ ოპერაციების განხორციელების მომენტში, მიუხედავად იმისა, ფაქტობრივად არის თუ არა მიღებული ან გაცემული ფულადი სახსრები.

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში. ფინანსური სტაბილურობის ანალიზისას ასევე უნდა შევისწავლოთ ფულადი ნაკადების მოძრაობაც.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება მოიცავს სამ განყოფილებას, რომლებშიც ფულადი სახსრების მოძრაობა დაჯგუფებულია საქმიანობის ცალკეული სფეროების მიხედვით. საოპერაციო საქმიანობა- საწარმოს ძირითადი, მაპროფილებელი საქმიანობა, რომლითაც აკუმულირდება შემოსავლების დიდი ნაწილი და რომელზეც საწარმო გასწევს მეტ ხარჯს. მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისათვის, აუცილებელია ინფორმაცია წარსული საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების შესახებ.

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა მოიცავს: ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელებისას მიღებულ თანხებს, კრედიტორებზე, პერსონალზე და პარტნიორებზე გაცემული და სხვა შემოსულ და გასულ ფულად საშუალებებს.

საინვესტიციო საქმიანობა არის გრძელვადიანი აქტივებისა და ინვესტიციების შეძენა. საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების შესწავლა გვეხმარება იმ რესურსების განვსაზღვრაში, რომელმაც მომავალი ფულადი ნაკადები და შემოსავლები უნდა შექმნას.

საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები მოიცავს: არამატერიალური აქტივების, ძირითადი შესყიდვასთან და გასვლასთან დაკავშირებულ ფულად სახსრებს. სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე და ერთობლივ საქმიანობაზე გაწეული ფულადი ნაკადების მოძრაობას.

საფინანსო საქმიანობა სტრუქტურულად ცვლის საწარმოს ნასესხებ და საკუთარ საშუალებებს. საფინანსო საქმიანობის ფულად ნაკადებში გრძელვადიანი სესხების და ობლიგაციების შეძენასთან დაკავშირებით მიღებული და გასული თანხები იგულისხმება.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანია ფულადი საშუალებების მოძრაობის შესწავლა, შეფასება და პროგნოზირება.

ფულადი ნაკადები ანგარიშდება შეიძლება მომზადდეს პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით. აღნიშნულ მეთოდებს შორის განსხვავება ვლინდება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების გაანგარიშების განსხვავებულ პროცედურულ თანმიმდევრობაში. პირდაპირი მეთოდის ამოსავალი ელემენტი არის ამონაგები, ხოლო არაპირდაპირის კი მოგება. ჩემ მიერ, განსახილველად წარმოდგენი საწარმოს ფულადი ნაკადების ანგარიშდება მომზადებულია არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით, რომლის საფუძველზეც ხდება ოპერაციების იმგვარად აღრიცხვამ რომ დაკორექტირდეს საწარმოში ფულადი სახსრების მოძრაობა და წმინდა მოგების მაჩვენებელი.

შევისწავლოთ საანალიზო საწარმოს შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების“-ს ფულადი სახსრების მოძრაობის დინამიკა.

ცხრილი: 2.3.1

შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“			
	2017	2018	სხვაობა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	15 790	35 023	19 233

მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	15 673	33 545	17 872
გადახდილი გადასახადები			
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	117	1 478	1 361
საინვესტიციო საქმიანობები			0
ძირითადი საშუალებების შეძენა	11	106	95
მიღებული საპროცენტო შემოსავლები	44	26	18
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	33	80	113
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	0	0	0
წმინდა ფულის ზრდა/შემცირება	1 398	150	1 248
კურსის გავლენა	5	131	
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	1 604	170	1 434
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	3 288	1 759	1 529

შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“-ს წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან 2018 წელს წინა წელთან შედარებით 1361 ათასი ლარით გაიზარდა და შეადგენს 1478 ათას ლარს. აღნიშნული ფაქტი გვიჩვენებს, რომ საწარმოში 2018 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან წარმოქმნილი შემოსავლები, რაც მიგვითითებს კომპანიის საქმიანობის მასშტაბების გაფართოებასა და განვითარებაზე. საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებიდან მიღებული ფულადი ნაკადები 2018 წელს შემცირებულია. მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით საპროცენტო შემოსავლები შემცირდა, ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლის იგივე მაჩვენებელს, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების მიღების შემცირება. აღსანიშნავია, რომ კომპანიის მიერ ძირითად საშუალებებში კერძოდ, სატრანსპორტო საშუალებებში ფულადი საშუალებების ინვესტირება გამართლებული და სწორი ნაბიჯია, ვინაიდან კომპანიის მთავარი საქმიანობა საერთაშორისო გადაზიდვებია, სატრანსპორტო საშუალებების ქონა, მისი საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს. რაც შეეხება, საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, კომპანიას აღნიშნულ სფეროში არ უფიქსირდება ფულადი საშუალებების მოძრაობა, ვინაიდან 2017-2018 წლებში საწარმოს არ განუხორციელებია ფინანსური დაბანდლები.

ამრიგად, საწარმოს საქმიანობის შეფასების მნიშვნელოვან განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგება. საწარმოში ფაქტობრივად არსებული ფულადი საშუალებების, მათი შემოდინებისა და გადინების იდენტიფიცირება გვაძლევს შესაძლებლობას განვსაზღვროთ კომპანიის საწარმოო სიმძლავრეები, რამდენად შესწევს უნარი დაფაროს კრედიტორული დავალიანებები, აღებული სესხები და სხვა ვალდებულებები, აგრეთვე შევაფასოთ საწარმოში არსებული ფულადი საშუალებები არის თუ არა საკმარისი ეკონომიკური საქმიანობისა და ინვესტიციების განსახორციელებლად.

2.3 საანალიზო საწარმოების საქმიანი აქტივობის ანალიზი

საქმიანი აქტიურობა გულისხმობს იმ მოქმედებების ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია საწარმოს განვითარებისკენ. ბაზარზე მძლავრი პოზიციების დაკავება, საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტის გაფართოება, გაყიდვების მოცულობის ზრდა და საწარმოს მიერ მატერიალური თუ ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენება არის ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიან აქტივობაზე.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მისი ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის ხელთ არსებული რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე, რომელიც შეგვიძლია შევაფასოთ საანალიზო საწარმოების მაგალითზე საქმიანი აქტივობის ფარდობითი და აბსოლუტური მაჩვენებლების გაანგარიშების საფუძველზე. საქმიანი აქტივობის აბსოლუტური მაჩვენებლებია: მოგება დაბეგვრამდე, წმინდა მოგება, შემოსავალი რეალიზაციიდან. ფარდობით მაჩვენებლებს მიეკუთვნება: აქტივებისა და კაპიტალის ბრუნვის კოეფიციენტი აგრეთვე, მიმდინარე აქტივების, დებეიტორული დავალიანების, მარაგების ბრუნვის, კრედიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტები და სხვა, რომლებსაც განვიხილავთ შემდგომ საანალიზო საწარმოების მაგალითზე.

საქმიანი აქტივობის საშუალებით შესაძლებელია შევავსოთ, თუ რამდენად სწრაფად ხდება საწარმოს აქტივებში დაბანდებული ინვესტიციის რეალურ ფულად გადაქცევა. საქმიანი აქტივობა ხასიათდება ავანსირებული კაპიტალის გამოყენების ინტენსივობით. საწარმო ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელება მოიცავს რამდენიმე ეტაპს, თავდაპირველად ხდება ფულადი საშუალებების დაბანდება ძირითად საშუალებებსა და მარაგებში, რომელთა გადამუშავების შედეგად ვიღებთ მზა პროდუქციას შემდგომი რეალიზაციის მიზნით. რაც უფრო სწრაფად ხდება საწარმოში კაპიტალის ბრუნვა, მით უფრო მეტად იზრდება გაყიდვების მოცულობა და შესაბამისად ფულადი სახსრების შემოდინება, რაც განსაზღვრავს კომპანიის ლიკვიდურობასა და გადახდისუნარიანობას. კაპიტალის წრებრუნვის შენელება მოითხოვს დამატებითი საშუალებების დაბანდებას, რამაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფინანსური სტაბილურობა.

ბრუნვადობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც მთლიანად ავანსირებული კაპიტალის, ასევე მისი ცალკეული ელემენტებითვის. თითოეული საწარმოს საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარე ბრუნვადობის მაჩვენებლების ოპტიმალური მნიშვნელობა განსხვავებულია. განვიხილოთ ბრუნვადობის კოეფიციენტები და შემდგომ შევავსოთ საანალიზო საწარმოს საქმიანი აქტიურობა.

1) **აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი**- აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენად სწრაფად ხდება საწარმოში კაპიტალის ბრუნვა და როგორ იყენებს კომპანია მის ხელთ არსებულ რესურსებს შემოსავლების ზრდისა და საქმიანობის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის.

$$\text{მთლიანი აქტივების ბრუნვის რიცხვი} = \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{აქტივების საშ.ნაშთი პერიოდში ფულის ნაშთის გარეშე}}$$

2) **კაპიტალის ბრუნვის კოეფიციენტი**- იგი გვიჩვენებს საწარმოში კაპიტალის ბრუნვის ტემპს, სიჩქარეს.

$$\text{საკ. კაპიტალის ბრუნვის რიცხვი} = \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{საკ.კაპიტალის საშ.წლიური ნაშთი პერიოდში}}$$

3) მიმდინარე აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი- ახასიათებს საანგარიშო პერიოდისთვის მოკლევადიანი აქტივების ბრუნვის სიჩქარეს.

$$\text{საბრუნავი აქტივების ბრუნვის რიცხვი} = \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{მიმდ.აქტ.საშ.ნაშთი პერიოდში ფულის ნაშთის გარეშე}}$$

4) დებიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტი-გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ ხდება საწარმოში წლის განმავლობაში დებიტორული დავალიანების დაფარვა, ანუ იგი ახასიათებს დებიტორული დავალიანების ბრუნვათა რიცხვს. იმისათვის, რომ დებიტორული დავალიანების ნაშთი შემცირდეს, აღნიშნული მაჩვენებლის ბრუნვა უნდა დაჩქარდეს.

$$\text{დებ. დავალიანების ბრუნვის რიცხვი} = \frac{\text{კრედიტით გაყიდვები}}{\text{დებ.დავალიანების საშ.წლიური ნაშთი}}$$

5) მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი - აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს, მიმდინარე მარაგებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის სიჩქარეს.

$$\text{მარაგების ბრუნვის რიცხვი} = \frac{\text{რეალიზებული საქ.თითღირებულება}}{\text{მარაგების საშ.ნაშთი პერიოდში}}$$

6) კრედიტორული დავალიანების ბრუნვა- კრედიტორული დავალიანების ბრუნვა გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ ხდება წლის განმავლობაში კრედიტორული დავალიანების დაფარვა. იგი გვიხასიათებს საწარმოს მიერ დავალიანების დაფარვის ბრუნვის სიჩქარეს. აღნიშნული კოეფიციენტის დაჩქარება უარყოფით გავლენას ახდენს საწარმოს ფინანსურ სახსრებზე და იგი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$\text{კრედ. დავალიანების ბრუნვის რიცხვი} = \frac{\text{კრედიტით შესყიდვები}}{\text{კრედ.დავალიანების საშ ნაშთი პერიოდში}}$$

7) ავანსირებული კაპიტალის ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა- აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს საშუალო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება დებიტორული დავალიანებების ამოღება.

აქტივებში ავანსირებული ღირებულების 1 ბრუნვის ხანგრძ. დღეებში

$$= \frac{365}{\text{ბრუნვის რიცხვი}}$$

8) დებიტორული დავალიანების ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა = აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს საშუალო პერიოდს დღეებში, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება დებიტორული დავალიანებების ამოღება.

$$\text{დებ. დავალიანების 1 ბრუნვის ხანგრძლივობა} = \frac{365}{\text{დებ. დავალიანების ბრუნვის რიცხვი}}$$

$$9) \text{ მარაგების 1 ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში} = \frac{365}{\text{მარაგების ბრუნვის რიცხვი}}$$

საანალიზო საწამოების: შპს „ემესი ჯორჯია“-ს და შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“-ს საქმიანი აქტივობის მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი.

ცხრილი: 2.3.1

	მაჩვენებლები	შპს „ემესი ჯორჯია“			შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“		
		2017 წ	2018 წ	გადახრა	2017 წ	2018 წ	გადახრა
1	მთლიანი აქტივების ბრუნვის რიცხვი	18.67	16.86	-1.81	0.79	0.91	0.12
2	საკუთარი კაპიტალის ბრუნვის რიცხვი	30.87	28.38	-2.49	0.78	0.91	0.14
3	მიმდინარე (საბრუნავი) აქტივების ბრუნვის რიცხვი	25.58	20.86	-4.73	7.33	9.32	1.99
4	დებიტორული დავალიანების ბრუნვის რიცხვი	1.37	1.16	-0.21	0.48	0.79	0.31
5	მარაგების ბრუნვის რიცხვი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
6	კრედიტორული დავალიანების ბრუნვის რიცხვი	1.24	0.96	-0.28	1.22	1.59	0.36
7	აქტივებში ავანსირებული ღირებულების (აქტივების) ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში	19.55	21.65	2.10	464.42	402.48	-61.94
8	დებიტორული დავალიანებების ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა	265.61	313.83	48.22	759.07	464.08	-294.99
9	მარაგების ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

მოცემულ ცხრილზე დაყრდნობით, საანალიზო საწარმოების საქმიანი აქტივობის შედარებითი ანალიზის შედეგად, ჩანს რომ შპს „ემ ეს სი ჯორჯია“-ს მიერ 2018 წელს წინა წელთან შედარებით აქტივების გამოყენების ეფექტიანობა შემოსავლების მისაღებად შემცირებულია -1,81-ით, იგივე მაჩვენებელი შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“-სთვის კი გაზრდილია 0,12-ით, რაც დადებით მოვლენას წარმოადგენს კომპანიისთვის, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი უმნიშვნელოა, ამიტომ ორივე კომპანიის ფინანსურმა მენეჯერმა აქტივები უფრო ეფექტიანად უნდა გამოიყენონ, რათა გაზარდონ კომპანიის შემოსავლებისა და მოგების მაჩვენებლები. შპს „ემ ეს სი ჯორჯია“-ს მიერ საკუთარი კაპიტალისა და მიმდინარე აქტივების გამოყენების ეფექტიანობაც მცირდება წინა წელთან შედარებით, რაც კომპანიის არასასურველ ფინანსურ მდგომარეობაზე მიგვითითებს, ვინაიდან აღნიშნული მაჩვენებლები დაჩქარების ტენდენციით უნდა ხასიათდებოდეს, ამ თვალსაზრისით შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“ აკმაყოფილებს დადგენილ პირობებს, თუმცა უმჯობესია კომპანიის ხელმძღვანელობამ გაზარდოს მათი გამოყენების ეფექტიანობა, რათა შეინარჩუნოს ბაზარზე მძლავრი პოზიციები. დებიტორული დავალიანების ბრუნვის რიცხვი ორივე საანალიზო საწარმოს შემთხვევაში უმნიშვნელოდ იცვლება. შპს „ემ ეს სი ჯორჯია“-ს დებიტორული დავალიანების ბრუნვის რიცხვი წინა წელთან შედარებით 0,21-ით შემცირდა, რაც გვიჩვენებს დებიტორული დავალიანების ანაზღაურების შემცირებას წლის განმავლობაში. აღნიშნული მაჩვენებელიც დაჩქარების ტენდენციით უნდა ხასიათდებოდეს, ამიტომ კომპანიამ უნდა გაამკაცროს დებიტორული დავალიანების ამოღების პოლიტიკა, რათა დროულად შეძლოს ფინანსური რესურსების მობილიზება. ამ თვალსაზრისით, შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალებს“ უკეთესი მდგომარეობა აქვს, ვინაიდან აღნიშნული მაჩვენებელი აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს. რაც შეეხება მარაგების ბრუნვის რიცხვს, ვინაიდან ორივე საანალიზო საწარმო საერთაშორისო გადამზიდ კომპანიას წარმოადგენს და მათი ძირითადი საქმიანობა სატრანსპორტო და სატერმინალო მომსახურებაა, აღნიშნული მაჩვენებლის გამოთვლა ვერ მოხერხდა, რადგან მათ არ გააჩნიათ მარაგები. კრედიტორული დავალიანების ბრუნვის რიცხვი გვიჩვენებს კომპანიების მიერ მომწოდებლების დავალიანების დაფარვის სიჩქარეს და იგი ნაკლები უნდა იყოს დებიტორული დავალიანების ბრუნვის

რიცხვზე. შპს „ემ ეს სი ჯორჯია“-ს კრედიტორული დავალიანების ბრუნვის რიცხვი 2018 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა -0,28-ით და იგი ნაკლებია დებიტორული დავალიანების ბრუნვის რიცხვზე, რაც კომპანიისთვის დადებით მოვლენას წარმოადგენს. შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“-ს იგივე მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც ნიშნავს რომ კომპანიაში გაიზარდა კრედიტორული დავალიანების მოცულობა და შესაბამისად მისი დაფარვის სიხშირე. აქედან გამომდინარე, კომპანიის ხელმძღვანელობამ უფრო ეფექტიანად უნდა გამოიყენოს რესურსები შემოსავლებისა და მოგების გასაზრდელად, რათა შეამციროს კრედიტორებზე დამოკიდებულების დონე.

გარდა ამისა, საწარმოების საქმიანობა დადებითად რომ შეფასდეს საჭიროა შემდეგი თანაფარდობის დაცვა:

დაბეგვრამდე მოგების ზრდის ტემპი > რეალიზაციიდან შემოსავლების ზრდის ტემპი > ბალანსის აქტივების ზრდის ტემპი > 100 %

აღნიშნული თანაფარდობის დაცვა ნიშნავს, რომ იზრდება საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბი, გაყიდვების მოცულობა შედარებით უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე ბალანსის აქტივების ჯამი, რაც თავის მხრივ განაპირობებს მოგების მაჩვენებლების უფრო სწრაფი ტემპით ზრდას დანახარჯებთან შედარებით. ეს გვიჩვენებს საწარმოს მიერ რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე.

განვიხილოთ, საანალიზო საწარმოების სამი ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლის ცვლილების ტენდენციების ურთიერთშედარება აღნიშნული პირობების გათვალისწინებით:

ცხრილი: 2.3.2

საწარმოები	2017 (ათ ლრი)	2018 (ათ ლრი)	ცვლლება %-ად (2018/2017*100)
1. შპს „ემ ეს სი ჯორჯია“			
მოგება დაბეგვრამდე	11,678	11,274	96.5
შემოსავალ რეალიზაციიდან	18,660	23,522	126.1
ბალანსის აქტივის ჯამი წლის ბოლოს	59,572	71,680	120.3
პირობა არაა დაცული			

2. შპს „ჯარღისტკა დ ტერმინალები“			
მოგება დაბეგვრმდ	-498	1,710	-343.4
შემოსავალ რეალიზაციიდან	15,660	41,051	262.1
ბალანსის აქტვის ჯამი წლის ბოლს	21,480	74,100	345.0
	პირობა არა დცულ		

მაშასადამე, ცხრილში მოცემული მაჩვენებლების შედარების საფუძველზე ჩანს, რომ ორივე საანალიზო საწარმოში დარღვეულია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს შორის ცვლილების ტენდენციების ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერებები. შპს „ემ ეს სი ჯორჯია“ ნაწილობრივ აკმაყოფილებს დადგენილ პირობებს, რადგან ამ შემთხვევაში მხოლოდ პირობის პირველი ნაწილია დარღვეული, როცა დაბეგვრამდე მოგების სიდიდე ნაკლებია რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებზე ($96,5\% < 126,1\%$). ამრიგად, კომპანიის ფინანსურმა მენეჯმენტმა უნდა შეიმუშავოს გაყიდვების ისეთი პოლიტიკა, რომელიც გაზრდის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ სტაბილურობას. შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“-ს არ აკმაყოფილებს პირობას, რომლის თანახმადაც რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები მეტი უნდა იყოს წლის ბოლოს ბალანსის აქტივების ჯამზე ($262,1\% < 345,0\%$ -ზე), რაც გვიჩვენებს კომპანიაში დანახარჯების უფრო სწრაფი ტემპით ზრდას მოგების მაჩვენებლის ზრდის ტემპთან შედარებით. ეს კი ნიშნავს, რომ საწარმო არაეფექტიანად იყენებს მის ხელთ არსებულ რესურსებს. ამდენად, ორივე კომპანიის მენეჯმენტმა მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიაქციოს აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერებებს, რადგან ამის გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა საწარმოში ფინანსური კრიზისი გამოიწვიოს და საფრთხე შეუქმნას მის ფინანსურ მდგომარეობას.

საანალიზო საწარმოების ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია რეანტაბელობის, იგივე მომგებიანობის ანალიზი. საწარმო მომგებიანია, თუ იგი ეკონომიკურ საქმიანობის განხორციელების პროცესში საქონლისა და მომსახურების რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების დაფარვის შემდეგ იღებს შემოსავალს მოგების სახით. შემოსავლების აბსოლუტურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება მოგების ან შემოსავლების თანხა, ხოლო მომგებიანობის ფარდობითი მაჩვენებელია

რენტაბელობა. საწარმოს რენტაბელობა შეგვიძლია შევაფასოთ მოგების სხვადასხვა პოზიციიდან. რენტაბელობის გაანგარიშების ზოგად ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$R = \frac{M}{k}$$

სადაც: M-არის საწარმოს მოგება, ხოლო

K- ის მაჩვენებელი, რომლის მიმართაც გამოითვლება საწარმოს რენტაბელობა.

საანალიზო საწარმოების საქმიანობის ეფექტიანობის დასახასიათებლად, პრაქტიკაში გამოიყენება რენტაბელობის შემდეგი მაჩვენებლები:

მთლიანი კაპიტალის რენტაბელობა- მას ავანსირებული კაპიტალის რენტაბელობასაც უწოდებენ. იგი გვიჩვენებს თუ რამდენი პროცენტი მოგება მიიღება აქტივებში ავანსირებული ღირებულების ყოველ 1 ლარზე.

მთლიანი კაპიტალის რენტაბელობა = დასაბეგრი მოგების პროცენტული ცვლილება / აქტივების საშუალოწლიური ღირებულება.

საკუთარი კაპიტალის საერთო რენტაბელობა -გვიჩვენებს საწარმოს მოგების რა ნაწილის მიიღება შეუძლია საკუთარი კაპიტალის გამოყენებით. იგი გაიანგარიშება დასაბეგრი მოგების პროცენტული ცვლილების საკუთარი კაპიტალის საშუალოწლიურ ღირებულებასთან ფარდობით.

საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა წმინდა მოგების მიხედვით- ახასიათებს საწარმოში საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის დონეს, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით: წმინდა მოგების პროცენტული ცვლილება / საკუთარი კაპიტალის საშუალოწლიურ ღირებულებასთან.

გაყიდვების რენტაბელობა რეალიზაციიდან მიღებული მოგების მიხედვით = რეალიზაციიდან მიღებული მოგების პროცენტული ცვლილება / პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები. აღნიშნული მაჩვენებელი გვიჩვენებს თუ რამდენი პროცენტი მოგება მიიღება 1 ლარის რეალიზებული პროდუქციიდან.

გაყიდვების რენტაბელობა წმინდა მოგების მიხედვით= წმინდა მოგების პროცენტული ცვლილება / პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები. იგი

გვიჩვენებს ყოველი ერთი ლარის რეალიზებული პროდუქციიდან მიღებულ წმინდა მოგების სიდიდეს.

რენტაბელობის მაჩვენებლები შეიძლება გავაერთიანოთ სამ ჯგუფში: მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ 1) დანახარჯების რენტაბელობას, 2) გაყიდვების რენტაბელობას და 3) კაპიტალისა და მისი ცალკეული ელემენტების ეფექტიანობას.

ცხრილი: N 2.3.3

მაჩვენებლები	შპს „ემ ეს სი ჯორჯია“		შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“	
	2017 (ათლრი)	2018 (ათლრი)	2017 (ათლრი)	2018 (ათლრი)
დასაბეგრო მოგება	18660	23522	-498	1710
ბალნისის აქტივის ჯამი წლის ბოლოს	59572	71680	21480	74100
საკუთარი კაპიტალი	2273	2361	19840	69890
წმინდა მოგება	16690	20729	-498	1710
შემოსავალ რეალიზაციიდან	59572	71680	15660	41051
მოგება რეალიზაციიდან	21488	26254	2450	8499

მოცემულ ცხრილზე დაყრდნობით წარმოგიდგენთ რენტაბელობის მაჩვენებლების გაანგარიშებას საანალიზო საწარმოების მაგალითზე:

ცხრილი: N 2.3.4

რენტაბელობის მაჩვენებლები	2018 წელი	
	შპს „ემ ეს სი ჯორჯია“	შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“
მთლიანი კაპიტალის რენტაბელობა	1.92	-7.19
საკუთარი კაპიტალის საერთო რენტაბელობა	0.05	-0.08
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა წმინდა მოგების მიხედვით	0.05	-0.08
გაყიდვების რენტაბელობა რეალიზაციიდან მიღებული მოგების მიხედვით	0.04	0.01
გაყიდვების რენტაბელობა წმინდა მოგების მიხედვით	1.02	0.01

ცხრილში მოცემული კოეფიციენტების მნიშვნელობებიდან გამომდინარე საანალიზო საწარმოების რენტაბელობის მაჩვენებლები უმნიშვნელოდ იცვლება. ამრიგად, ორივე საწარმოს ფინანსურმა მენეჯერებმა უფრო ეფექტიანად უნდა გამოიყენოს მათ ხელთ არსებული რესურსები, გაზარდონ აქტივებისა და საკუთარი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობა შემოსავლებისა და მოგების მისაღებად, რაც უზრუნველყოფს კომპანიის გადახდისუნარიანობას, ლიკვიდურობასა და ფინანსურ მდგრადობას.

დასკვნა

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში განხილულ იქნა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი მიმართულებები, მისი არსი, მიზანი, ამოცანები და ინფორმაციული წყარო. შევისწავლე საანალიზო საწარმოს ფინანსურ მაჩვენებელთა სისტემა, მდგრადობის, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები, ასევე საწარმოში ფულადი ნაკადების მოძრაობა და საქმიანი აქტივობის შედეგები.

ნაშრომში წარმოდგენილია ორი საერთაშორისო გადამზიდი კომპანიის: შპს „ემ ეს სი ჯორჯია“-სა და შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“-ს ფინანსური მდგომარეობის შედარებითი ანალიზი. ანალიზის პროცესში გამოვლინდა საანალიზო საწარმოების ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებული ფინანსური შედეგები და მასზე მოქმედი ფაქტორების ცვლილების გავლენა დინამიკაში.

საანალიზო საწარმოების ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურის შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ისინი აქტივების დაფინანსებისა და სახსრების მოზიდვის სხვადასხვა მიდგომას იყენებენ. 2018 წელს შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“-ს გრძელვადიანი აქტივები მთლიანი აქტივების 87 %-ს შეადგენს, მაშინ როდესაც მეორე საწარმოს აქტივების მთლიან მოცულობაში გრძელვადიანი აქტივების წილი მხოლოდ 7 %-ია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგიკურია მიმდინარე აქტივების სტრუქტურის სხვაობაც. შპს „ემესი ჯორჯია“-ს მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი 93 %-ია, ხოლო ჯიარ ლოგისტიკის 13 %. ასეთი სხვაობა გამოწვეულია ფულადი სახსრების მოცულობის გამო. შპს „ემესი ჯორჯია“-ს აქტივების ნახევარზე მეტს ფული და მისი ექვივალენტები შეადგენს, ხოლო შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“-ს აქტივებში ფულად საშუალებებს მხოლოდ 4 % უკავია. ამასთანავე, 2018 წლის მონაცემების მიხედვით, ემესი ჯორჯიას დებიტორული დავალიანებების ხვედრითი წილის მაჩვენებელი 20 %-ით, ხოლო კრედიტორული დავალიანებების ხვედრითი წილი 10 %-ით აღემატება მეორე საანალიზო საწარმოს მსგავს მაჩვენებლებს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შპს „ემესი ჯორჯია“ დებიტორული დავალიანებების ამოღების უფრო მკაცრს პოლიტიკას ატარებს, თუმცა

თავად უფრო მეტადაა დამოკიდებული კრედიტორებზე, ვიდრე შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“.

შპს „ემესი ჯორჯია“-ს ლიკვიდურობის სამივე მაჩვენებლის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საწარმოს აქვს საერთო ლიკვიდურობასთან დაკავშირებული გარკვეული სიძნელეები. საერთო ლიკვიდურობის მნიშვნელობა ნაკლებია მიღებულ ნორმასთან. მართალია, დინამიკაში კომპანიისთვის დამახასიათებელია გადახდისუნარიანობის მცირედი ზრდა, თუმცა ეს არ არის საკმარისი. იმისთვის რომ საწარმომ კონკურენტულ გარემოში შეძლოს ბაზრის მნიშვნელოვანი წილის მოპოვება, საჭიროა ინვესტიციები. ინვესტორები კი დიდ ყურადღებას აქცევენ პოტენციური საინვესტიციო საწარმოს გადახდისუნარიანობის დონეს. განხილულ საწარმოსთან შედარებით, შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალებს“-ს ლიკვიდურობის სამივე მაჩვენებლის მიხედვით საწარმოს გააჩნია ლიკვიდური აქტივები მიმდინარე ვალდებულებების დასაფინანსებლად, რაც მის გადახდისუნარიანობაზე მიგვითითებს. აქედან გამომდინარე, კომპანიის ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშავოს გარკვეული სტრატეგიები, რათა შეინარჩუნოს ლიკვიდურობის ოპტიმალური დონე და გადახდისუნარიანობა.

ფინანსური მდგრადობის ანალიზის საფუძველზე, ჩანს რომ შპს „ემესი ჯორჯია“-ს საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი უმნიშვნელოდ იზრდება (1%-ით), რაც იმას ნიშნავს რომ საწარმოში საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წილი ფაქტობრივად არ გაზრდილა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია რომ კომპანიის ფინანსური დამოუკიდებლობის, ასევე ნასესხები კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტიც არ აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს, სწორედ ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საწარმო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კრედიტორებზე. ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით, განსხვავებული მდგომარეობა აქვს შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალებს“. ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი აკმაყოფილებს პრაქტიკაში მიღებულ ნორმებს და ხასიათდება კლებადი დინამიკით. აღნიშნული ფაქტი დადებით მოვლენად ითვლება, ვინაიდან მცირდება საწარმოს კრედიტორებზე დამოკიდებულების დონე. კაპიტალის შენარჩუნებისა და მოზიდული და საკუთარი

სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტებიც მერყეობს მიღებული ნორმების ფარგლებში. გაზრდილია საკუთარი კაპიტალის მოცულობა საანგარიშო პერიოდის დასაწყისთან შედარებით, ამასთანავე შენარჩუნებულია სასურველი თანაფარდობა ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის მუხლებს შორის. საერთო ჯამში, საწარმოს ფინანსური მდგრადობის ყველა მაჩვენებლის მნიშვნელობა დამაკმაყოფილებელია.

ამრიგად, საანალიზო საწარმოების ფინანსური მდგრადობის შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“ ფინანსურად უფრო მეტად სტაბილურია, ვიდრე შპს „ემესი ჯორჯია“. აქედან გამომდინარე, უმჯობესია შპს „ემესი ჯორჯია“-ს კომპანიის ხელმძღვანელობამ იზრუნოს საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წილის გასაზრდელად, რათა შეინარჩუნოს და გაზარდოს ბაზარზე ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის დონე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კვატაშიძე, ნ., ხორავა, ა., და გოგრიჭიანი,ზ.(2017). ფინანსური ანგარიშგება. (მე-2 შესწორებული გამ.). თბილისი: მერიდიანი.
2. ჭილაძე, ი. (2018). ფინანსური ანალიზი (ფინანსური ანგარიშგების ანალიზი). (მე-3 გადამუშავებული გამ.). თბილისი.
3. ჭილაძე ი., მმართველობითი აღრიცხვა (სახელმძღვანელო), თბილისი, 2016
4. ხარაბაძე, ე., და კვატაშიძე, ნ. (რედ.). (2018). ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები. თბილისი.
5. ჯიქია, მ. (2018). ფინანსური ანალიზი. თბილისი.
6. ხარაბაძე ელენე. ფინანსური აღრიცხვა. გამომცემლობა „უნივერსალი“- თბილისი 2009
7. ანა ჩეჩელაშვილი, სადისერტაციო ნაშრომი „ ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და მისი სრულყოფის გზები“. გამომცემლობა „ მერიდიანი“, თბილისი 2014
8. ლომსაძე ე., მელიქიძე ც., წამალაშვილი ე., ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებში, თბილისი, 2010
9. ბასს–1. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. მოძიებული 3 მაისი, 2019, <https://www.saras.gov.ge/ka/lfrs/Pdf/103>
10. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 7 (ბასს 7)- ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
11. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 32 (ბასს 32)- ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა
12. ფასს სტანდარტი. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საკითხები. მოძიებული 3 მაისი, 2019, <https://www.saras.gov.ge/ka/lfrs>
13. ანგარიშგების რეესტრი: <https://reportal.ge/>
14. F9 - ფინანსური მართვა, ACCA, თბილისი, ბაფ, 2014
15. ACCA ინგლისისა და უელსის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაცია. ალავერდაშვილი, ბ. (მთარგმნელი). თევზაძე, ე. (რედ.). (2010). ფინანსური ანგარიშგება. ბაფ.

16. FTC Kaplan limited (2007) F2. ალავერდაშვილი,ბ.(მთარგმნელი), გაიშვილი, ი.(რედ.), ბოლოკაძე, ნ. (რედ.), გველესიანი, მ. (რედ.). (2016). მმართველობითი აღრიცხვა. შპს „დანი“.
17. FTC Kaplan limited (2007) F3. რევაზიშვილი,მ. (მთარგმნელი) კვატაშიძე, ნ. (რედ.), ხორავა, ა. (რედ.), გველესიანი, მ. (რედ.). (2008). წიგნი F3 ფინანსური აღრიცხვა. შ.პ.ს. „დანი“.
18. Brigham, F.Eugene, and Erhard, C. Michael. (2014). Financial Management.
19. Harrington D.R. Willson B.D. Corporate Financial Analysis. Richard D. Irwin. Inc 1989
20. Financial Statement Analysis-<https://www.investopedia.com/terms/f/financial-statement-analysis.asp>
21. CFA Institute - <https://www.cfainstitute.org/en/membership/professional-development/refreshers-readings/2020/introduction-financial-statement-analysis>

დანართი

დანართი N 1

შპს „ემ ეს სი ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათ. ლარი)

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
მირითადი საშუალებები	9	497	351
არამატერიალური აქტივები	10	297	350
სულ გრძელვადიანი აქტივები		794	701
მოკლევადიანი აქტივები			
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	11	144	251
საბელშეკრულებო აქტივები	5	129	46
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	12	3,335	2,400
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	6,872	8,280
სულ მიმდინარე აქტივები		10,480	10,977
სულ აქტივები		11,274	11,678
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		50	50
გაუნაწილებელი მოგება		2,311	2,223
სულ საკუთარი კაპიტალი	14	2,361	2,273
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოგების გადასახადის დავალიანება		104	341
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა		515	453
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15	7,790	8,432
საბელშეკრულებო ვალდებულებები	5	504	179
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8,913	9,405
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		11,274	11,678

დანართი N 2

*შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	59,475	12,737
საინვესტიციო ქონება	10	4,738	4,771
გრძელვადიანი აქტივები		64,213	17,508
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	6,274	1,876
სხვა აქტივები		325	337
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	3,288	1,759
მიმდინარე აქტივები		9,887	3,972
სულ აქტივები		74,100	21,480
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	83,458	27,398
გადაუხდელი კაპიტალი		(234)	(234)
მესაკუთრის არაფულადი შენატანის რეზერვი		(7,067)	-
დაგროვილი ზარალი		(6,267)	(7,324)
სულ კაპიტალი		69,890	19,840
ვალდებულებები			
კლიენტებისგან მიღებული ავანსები		1,005	805
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		3,205	835
მიმდინარე ვალდებულებები		4,210	1,640
სულ ვალდებულებები		4,210	1,640
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		74,100	21,480

დანართი N 3

შპს „ემ ეს სი ჯორჯია“
სრული შემოსავლების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათ. ლარი)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	5	71,680	59,572
გაწეული მომსახურების ღირებულება	6	(45,426)	(38,084)
საერთო მოგება		26,254	21,488
სხვა საოპერაციო შემოსავალი		194	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(3,522)	(3,405)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		22,926	18,083
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	13	775	772
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან		(179)	(195)
დასაბეგრი მოგება		23,522	18,660
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(2,793)	(1,970)
წლის მოგება		20,729	16,690
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		20,729	16,690

დანართი N 4

შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლისთვის

'000 ლარი	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	6	41,051	15,660
საოპერაციო ხარჯები	7	(32,552)	(13,210)
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯი		(2,445)	(1,985)
ცვეთა		(2,396)	(571)
სხვა შემოსავალი		394	613
რეზერვის ხარჯი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე		(1,490)	(152)
სხვა ხარჯები	8	(1,095)	(813)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		1,467	(458)
საპროცენტო შემოსავალი		26	44
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებით			
გამოწვეული შემოსულობა/(ზარალი)		217	(84)
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)		243	(40)
მოგება/(ზარალი) დაბეგვამდე		1,710	(498)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება/(ზარალი) და სულ სრულ			
შემოსავალი/(ზარალი) წლის განმავლობაში		1,710	(498)

